# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს
№30 (1540) 27–29 მარტი, 1997 წელი

## ვინ ვინ არის?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანეებისათვის

## კახა თარგამაძე: ამ შემთხვევაში ნამდვილად ყველაფრის თქმას ვაპირებ...

2



## პრეზიდენტ გამსახურდიას უმცროსი ვაჟი ბრძოლისკენ მიიწევდა

## ვაინახები გამსახურდიას და შევარდნაძეს უდიდეს პატივს სცემენ

3

## შევარდნაძემ მხოლოდ ცალ მუხლზე დაიჩოქა...

4

## აი, რას წერს თურქეთის მოქალაქე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს...

6

## დავით კლდიაშვილი „სოლომან მორბელაძე“

5

## პრეზიდენტი შეშფოთებულია

4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ ვინ არის

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

საუბრობენ გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი **ნოდარ გრიგალაშვილი** და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე**



# კახა თარგამაძე: ამ შემთხვევაში ნამდვილად ყველაფრის თქმას ვაპირებ...

*ნ.გ. – ბატონო კახა, ჩვენი რუბრიკა – „ვინ იყო ვინ, ანუ მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის“, რომელშიც ამჯერად მცირე კორექტივი შემაქვს, მოგეხსენებათ, მიზნად ისახავს გლობალურად იქნეს წარმოჩენილი ყველაფერი ის, რაც ხდებოდა და ხდება დღეს. წარმოჩენილი როგორც ამჟამინდელი, ისე მომავლის მკითხველისათვის.*

*თქვენი სამინისტრო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უწყებაა სხვა სამინისტროთა შორის, ამიტომ მოქმედ მინისტრთაგან თქვენც ერთ-ერთი პირველთაგანი ხართ, რომელსაც ამ რუბრიკით გიწვევთ ჩვენს გაზეთში.*

*თქვენის ნებართვით, მეძლევა შანსი და საშუალება, თქვენთვის არაორდინალურ როლში ჩავაყენოთ და ერთ საეარაუდო დღეს, ვიდრე მე დამკითხავდნენ, მე დავკითხო შინაგან საქმეთა მინისტრი, ეს, რა თქმა უნდა, იუმორით.*

კ.თ. – (იცინის გულიანად) კი ბატონო, თანახმა ვარ...

*ნ.გ. – აქედან გამომდინარე, ჩვენი საუბარიც იმ სტრუქტურით დავიწყოთ, როგორც საგამომძიებლო იზოლატორში ხდება ხოლმე, თქვენი გვარი და სახელი?*

კ.თ. – კახა თარგამაძე, მაგრამ ვიდრე „დაკითხვას“ გააგრძელებდეთ, ბატონო ნოდარ, მინდა ერთი შენიშვნა გავაკეთო. მოდით, სიტყვა იზოლატორს ნუ ვიხმართ და ვთქვათ ისე, როგორც რეალობაშია – შინაგან საქმეთა მინისტრის „დაკითხვა“ მის კაბინეტში. იზოლატორისაგან ღმერთმა დაგვიფაროს, ამის პრაქტიკა უკვე იყო და არც ერთადერთი...

აწი მაინც ღმერთმა დაიფაროს საქართველო ისეთი შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, საპატიმროს იზოლატორში რომ გადაინაცვლებს. კაცი თავისთავად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ქვეყანაა ცოდვა, რადგან მინისტრს უფრო მეტის წახდენა შეუძლია, თუ შუბლის ძარღვს გაიწყვეტს, ვიდრე რიგით მოქალაქეს.

მე კი არანაირი სურვილი არ მაქვს, ან მე ვიყო ოდესმე ვინმესთვის ავად სახსენებელი და რაც მთავარია, არც ჩემი ქვეყნის იოტისოდენად დაზარალება მსურს, პირიქით, ჩემი ბედნიერება ჩემი ქვეყნის ბედნიერებაა.

*ნ.გ. – აი, ხომ ხედავთ, მშვენიერი თემა შემომიტანია თქვენი კრედოს გასაცხადებლად. ახლა კი მეორე კითხვა...*

კ.თ. – თქვენს შეკითხვამდე, მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროთი დაინტერესდით ვინაიდან, როგორც თქვენ ბრძანეთ, თანამედროვეთათვის და მემატიანისთვის არის განკუთვნილი ის პუბლიკაციები, რომელსაც თქვენ გამოაქვეყნებთ.

ჩემთვის პატივია ჩვენი მკითხველის წინაშე წარდგომა. მე ვიცი, გარდა იმისა, რომ ამ რუბრიკით საკმაოდ სერიოზული მასალები გაშუქდა, საკმაოდ სერიოზული კითხვებიც იყო დასმული ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ. ვიცი, გექნებათ, როგორც თქვენ უწოდებთ, მწარე თუ მწვავე შეკითხვებიც, მაგრამ მინდა განგიცხადოთ, მაქსიმალურად ვეცდები სრულიად გულახდილი ვიყო, გაგცეთ პასუხი ყველაფერზე, რაც, რა თქმა უნდა, ჩემს შესაძლებლობებშია და სახელმწიფოსათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს.

*ნ.გ. – დიდი მადლობა, ბატონო კახა, ახლა კი ვახსენოთ ღმერთი და გავაგრძელოთ დაკითხვა, უკაცრავად, გავაგრძელოთ საქმე. დაბადების წელი*

კ.თ. – 1955 წლის 30 ნოემბერი

*ნ.გ. – დაბადების ადგილი*

კ.თ. – ქალაქი ბათუმი

*ნ.გ. – რომელ წელს და სად დაამთავრეთ სკოლა?*

კ.თ. – 1972 წელს დავასრულე ქ.ბათუმის №6 საშუალო სკოლა.

*ნ.გ. – შემდგომი გზა?*

კ.თ. – 1972 წელსვე ჩავაბარე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საავტომობილო გზების, ხიდების და გვირაბების მშენებლობის სპეციალობით, რომელიც დავასრულე 1977 წელს. 1977 წლიდან 1979 წლამდე ვმსახურობდი შსს სამშენებლო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად, უბნის უფროსად. 1979 წლის დასაწყისიდან კი დავიწყე მუშაობა შსს სისტემაში ოპერატიული მუშაკის თანამდებობაზე ეკონომიკური დანაშაულის ხაზით.

გავლილი მაქვს საკმაოდ რთული გზა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ სამსახურში მუშაობისა.

ოპერრწმუნებულიდან დაწყებული ვიყავი ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი, განყოფილების უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი სამმართველოს უფროსი, ორგანიზებული დანაშაულის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მინისტრის მოადგილე და დღეს თქვენი მონა-მორჩილი გახლავთ მინისტრი. ამ პოსტებიდან კი თითქმის თოთხმეტი წელი ჩვეულებრივი ოპერატიული მუშაკი ვიყავი.

*ნ.გ. – ამ უკანასკნელი ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მაინცდამაინც „ძლიერი“ მამა არ გყავდათ კომუნისტების ეპოქაში ვისაც ძლიერი პატრონი ჰყავდა, აკვნიდან პირდაპირ შავ „ვოლგაში“ სვამდნენ...*

კ.თ. – თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეგრეა საქმე. მამაჩემი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი იყო და სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. მის ყველა თანამდებობას აღარ ჩამოვთვლი, გეტყვით, რომ იგი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც. ასე რომ, ხელის წაკვრა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ასე არჩია და დღეს სწორედ მისი მადლობელიც ვარ.

პროფესიონალიზმი სწორედ იმან მომცა, რომ ყველა საფეხური გავიარე. შვილზე ზრუნვა საქართველოში ცოტა უკუღმართად ესმით. მარტო ის რად ღირს, მშობელი რომ შვილს დავალებას უწერს ან გამოცდას ჩაუბარებს...

ასეთი მზრუნველობითაა სწორედ, საშუალო ასაკის „დედიკოს ბიჭები“ რომ მომრავლდნენ.

ძველებისაგან გამიგონია, გერმანიაში გერმანელი პროფესორი გერმანელ სტუდენტს არაფრით ზედმეტ ნიშანს არ დაუწერდა, როგორც იტყვიან, გაწურავდა... ქართველ ან ნებისმიერ უცხოელ სტუდენტებს კი ფრიადს არ დააკლებდა, თუნდაც არ დაემსახურებინათ.

რატომ? იმიტომ, რომ გერმანელი თავის ქვეყანას ეზრდება და პროფესიონალები სურთ ჰყავდეთ.

სხვა ქვეყნებიდან ჩასულები კი თავის სამშობლოს თუ ცარიელი თავებითა და ფრიადებით შევსებული დიპლომებით დაუბრუნდებიან, ეს მათი პრობლემა არ არის.

ჩვენთან პირიქით იყო, დაუმსახურებლად კაცის დაფასება, დაწინაურება და ა.შ. კაი კაცობად ითვლებოდა, საბოლოოდ კი ეს ქვეყნის სენად იჩენდა თავს...

*ნ.გ. – თქვენი ოჯახური მდგომარეობა.*

კ.თ. – მყავს მეუღლე და პატარა სალომე, 4 თვის სალომუშკა.

*ნ.გ. – ნასამართლევი თუ ხართ?*

კ.თ. – არა ბატონო, ღმერთმა დამიფაროს!

*ნ.გ. – ისე, ეს კითხვა არ უნდა გაგიკვირდეთ, თქვენამდე და კიდევ შოთა კვირაიამდე, ერთი შინაგან საქმეთა მინისტრი გვყავდა, რამდენჯერმე ნასამართლევი. ჰოდა, იმ მინისტრს როცა ამტკიცებდნენ, პარლამენტმა, მაშინდელმა უმრავლესობამ ლამის გმირობად ჩაუთვალა ნასამართლეობა. კი ბატონო, ნასამართლევი კაცი სასჯელის მოხდის შემდეგ აღარ უნდა იჩაგრებოდეს, მაგრამ ეს ნასამართლეობა (თუ პოლიტიკურზე არ იჯდა) კარიერის გაკეთების საფუძვლად უნდა იქცეს?*

კ.თ. – მეც იგივეს ვიტყოდი, მით უფრო, როცა საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხება. მხოლოდ მინისტრი კი არა, ამ სამინისტროში სხვებიც იყო ნასამართლევი ხალხი. მინისტრად მოსვლის პირველივე დღიდან მე დავაყენე საკმაოდ მკაცრად ეს საკითხი, ამგვარი პიროვნებები დათხოვნილ უნდა იქნენ ჩვენი უწყებიდან.

*ნ.გ. – ბატონო კახა, ჩავთვალოთ, რომ დაკითხვის ფორმალურმა მხარემ მშვიდობიანად ჩაიარა. მკითხველს მინდა განვუცხადო, რომ მინისტრისა და რედაქტორის საუბრები ხანგრძლივი იქნება და ეს საუბრები მოიცავს ჩვენი ყოფის მტკივნეულ პრობლემებს.*

*თქვენის ნებართვით, ჩვენ დიალოგი გვექნება დღევანდელ დღეზე და ახლო წარსულზეც.*

*დავიწყოთ ამ ბოლო დღეებში ყველაზე გახმაურებული საქმით. კერძოდ, სულ რამდენიმე დღეა, რაც ბომბივით გასკდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აეროპორტის გზაზე დაყაჩაღებულ იქნა სოციალისტური პარტიის ლიდერის, ვახტანგ რჩეულიშვილის მამა, ცნობილი ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი. რომ წართმეულ იქნა უზარმაზარი თანხა, ლაპარაკი იყო 650000 დოლარზე. ბუნებრივია, ამან საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. როგორც თვით ბ-ნმა ვახტანგმა განაცხადა პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე, ქვეყანაში, სადაც ადამიანებს 8 ლარი აქვთ ხელფასი, ამდენი თანხის დაყაჩაღება, ერთი კაცისათვის წართმევა, პირდაპირ დარტყმას აყენებს პიროვნებას, მით უფრო, თუ ის პოლიტიკურ მოღვაწეს წარმოადგენს.*

*შემდეგ გამოჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შალვა რჩეულიშვილი ამ საქმეში არ ერია, რომ იგი მხოლოდ ფირმის ადვოკატია, რომ გაიძარცვა არა ის, არამედ ფირმა „ომეგა“, დაესხნენ თავს ფირმა „ომეგას“ წარმომადგენლებს და რომ თავდამსხმელები იყვნენ ფირმა „ელიზისა“ და პოლიციის მუშაკებიც. ამან კიდევ უფრო მეტი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში და საბოლოოდ ეს თეზისურად ჩამოყალიბდა ასეთნაირად: ერთ-*

გაგრძელება მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

მანეთს შეეჯახა ორი ძალოვანი სამინისტრო, რომ ერთი ფირმა ეკუთვნის შსს-ს, ამ შემთხვევაში დაყაჩაღებული ფირმა და მეორე ფირმა ეკუთვნის მეორე ძალოვან სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს. და რომ ამ ფირმების მეშვეობით სწორედ ამ ორ ძალოვან უწყებას შორის მიმდინარეობს ბრძოლა. მე ასე პირდაპირ ამ კითხვას არ დაგისვამდით, რომ ეს ყოველივე არ დაბეჭდილიყო ზოგიერთ რესპუბლიკურ გაზეთში. არ დავმალავ, იმ გაზეთშიც, რომელსაც მე ვრედაქტორობ, ამგვარი ინფორმაცია იყო. როცა დამნაშავე სჩადის ცოდვას, ეს ერთია, მაგრამ დამბრალებელი, როგორც იტყვიან, ათმაგ ცოდვას ჩადის და ამ შემთხვევაში, პირადად ჩემი მიზანი, სრულიადაც არ გახლავთ ის, რომ მაინცდამაინც გულით მინდოდეს აქ ორი სამინისტროს ბრძოლა დაეინახო. თუმცა, ეს ჭორი უკვე ფართოდ აგორდა. პირველი პირისგან, როგორც იტყვიან, პირველი ხელისგან საზოგადოებას' აინტერესებს, ეს ინფორმაცია სწორია თუ არა. იმასაც არ დავმალავ, საზოგადოება იმასაც მიჩვეულია, რომ პირველი პირისაგანაც ზოგჯერ ვერ ღებულობს სრულყოფილ ინფორმაციას. ამიტომ მინდა გთხოვოთ, თქვენ შეიძლება ყველაფერი ვერ თქვათ, მაგრამ რასაც იტყვით, აუცილებლად თქვათ სიმართლე.

კთ – ამ შემთხვევაში ნამდვილად ყველაფრის თქმას ვაპირებ, რამეთუ აქ არაფერი დასამალი და დასაფარი არ არის. მე თვითონ მიკვირს, როგორ გორდება ეს ჭორები და როგორ ვრცელდება... მოხდა ყაჩაღობა. მოხდა ძალიან სერიოზული ყაჩაღობა, ძალიან სერიოზული დანაშაული. ჩვენი ძირითადი და პრიორიტეტული მიმართულება არის არა მარტო ე.წ. რიგითი მოქალაქეების ინტერესების დაცვა, ასევე საქმიანი ადამიანების ინტერესების დაცვაც უპირველეს ყოვლისა, რამეთუ საქმიანი ადამიანები, ბიზნესმენები და ის ხალხი, ვინც ქმნის საქართველოს ბიუჯეტს და საქართველოს ხვალინდელ დღეს, არიან ისინი, ვინც ხვალ და ზეგ უნდა უზრუნველყოს ყველა სტრუქტურა და, რა თქმა უნდა, ის სტრუქტურები, რომლებიც ბიუჯეტით სარგებლობენ, მითუმეტეს მათ უნდა უზრუნველყონ ის დაუცველი ფენა, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანია.

ძალზედ მიკვირს. ამ ფირმების დაპირისპირებაზე და თუნდაც ამ ფირმების რაღაც ორ სტრუქტურის კუთვნილებაზე რატომ წამოიწყეს საუბარი მაშინ, როცა დაიწყო მუშაობა სერიოზული, საკმაოდ ორგანიზებული, ფაქტად ქცეული დანაშაულის გახსნაზე? დანაშაულის გახსნა ორი უწყების დაპირისპირება რატომაა? ამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. მაშინ დაღუპულა მთლიანად საქართველო. ვიმეორებ, მოხდა ფაქტი. რა თქმა უნდა, დილით, პირველ წუთიდანვე დამიკავშირდნენ და მაცნობეს ამ ფაქტის შესახებ. შევკრიბე ის ხალხი, ვინც უნდა შემეკრიბა, ორგანიზებული დანაშაულის წინაალმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს გამოცდილი ხელმძღვანელი მუშაკები და კრიმინალური პოლიციის უფროსი. ვუთხარი, რომ ეს არის ძალიან მძიმე დანაშაული ბიზნესმენის და ორგანიზაციის წინაალმდეგ, ვინც საქართველოს ბიუჯეტის შევსებას ეხმარება. უნდა მოხდეს დანაშაულის გახსნა-მეთქი. დავიწყეთ მუშაობა. ჩამოყალიბდა პირადად ჩემს მიერ ვერსია, რომ მონაწილეობდა აუცილებლად პროფესიონალი და აუცილებლად პროფესიონალები ამ დანაშაულის ჩადენაში, რაც ჩანდა ხელწერით, მოქმედებით და თუნდაც იმით, რომ ისინი ყოველგვარი მორიდების გარეშე მუშაობდნენ და მოქმედებდნენ. ეს მიგვანიშნებდა, რომ მუშაობდნენ რომელიღაც სტრუქტურის პროფესიონალები. რა იძლეოდა ამ ვარაუდის საფუძველს ხსენებული მომენტების გარდა? I. იარაღის გამოყენების პროფესიონალიზმი. II. ფულის წართმევის და დანაშაულის ადგილის დატოვების პროფესიონალიზმი, რომელიც ამ ხალხმა გამოიჩინა დანაშაულის ჩადენის დროს. გაოცდებით, ისე ვირტუოზულად ისროლეს ალგიწერთ კიდეც ზუსტ სურათს რა როგორ მოხდა...

გაგრძელება იქნება

*ნაზრანული შთაბეჭდილებებიდან*

# ვაინახები გამსახურდიას და შევარდნაძეს უდიდეს პატივს სცემენ

*ჩეჩნეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრს თან ახლდა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი კობა ლიკლიკაძე. გთავაზობთ მის ჩანაწერებსა და შთაბეჭდილებებს.*

14 მარტს, თბილისის აეროპორტში, ექვსსაათიანი ლოდინისა და რუსეთის ყველა ხელისუფლების (გარდა „მეოთხისა") თათარიახნი ნებართვის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტუ-134 თვითმფრინავი, როგორც იქნა, საფრენ ბილიკებს მოწყდა და კურსი ნაზრანისკენ აიღო.

„ნამდვილი ქართველი ყოფილხარ, რუსების წინაალმდეგობას რომ არ შეუშინდი. ესაა ცხოვრება, მეზობელი მეზობელთან შუამავლის გარეშე ვერ მისულა", – ამ სიტყვებით შეხვდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრს ჩეჩნეთისა და ინგუშეთის პრეზიდენტები ასლან მასხადოვი და რუსლან აუშევი.

ნაზრანიდან 10 კილომეტრის დაშორებით, ინგუშეთის პრეზიდენტის კომფორტაბელურ ქალაქგარეთა რეზიდენციაში გამართული ეს მართლაც ისტორიული შეხვედრა უმალ მსოფლიო საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში მოექცა და სავსებით სამართლიანად შეფასდა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის მშვიდობიანი კავკასიის იდეის ფართომასშტაბიანი განხორციელების პირველი სერიოზული მცდელობა და კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის შემობრუნების მომენტი, ვინაიდან ჩეჩნეთ-ინგუშეთის გარეშე კავკასიის მშვიდობა ილუზიაა.

„კავკასიაში მშვიდობა კავკასიის ხალხებმა მესამე ძალის ჩაურევლად უნდა გადაწყვიტონ", – ასეთი იყო ნაზრანის დიალოგის მთავარი სულისკვეთება, ლოგიკური დასკვნა, რომლამდეც მხარეები ცალ-ცალკე და, ვთქვათ სიმართლე, ერთმანეთისადმი მიყენებული ჭრილობებით მივიდნენ. და თუ ვისაუბრებთ შეცდომაზე, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შეცდომებში პასუხისმგებლობის უფრო დიდი წვლილი (კავკასიაში ისტორიული ადგილისა და გეოპოლიტიკური როლის გათვალისწინებით) სწორედ საქართველოზე მოდის, რომელმაც ისტორიულ მეზობლებთან ურთიერთობაში ინიციატივა ხელიდან გაუშვა და „მშვიდობის მტრედის" მისია რუსეთს დააკისრა. ამ პოლიტიკის შედეგები, როგორც იტყვიან, სახეზეა.

„მე ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები მშვიდობიანი კავკასიის იდეას და მიმაჩნია, რომ ყველაფერი უნდა იყოს ისე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი გვთავაზობს", – განაცხადა იჩქერიის პრეზიდენტმა, გენერალ ასლან მასხადოვმა. საგულისხმოა, რომ იგი წინა ღამით ჩამოვიდა ნაზრანში ვარდიკო ნადიბაიძესთან შესახვედრად.

### პრეზიდენტ გამსახურდიას უმცროსი ვაჟი ბრძოლისკენ მიიწევდა

ოფიციალური თუ არაოფიციალური საუბრების დროს ვაინახები (ეთნონიმი ქართულად „ჩვენს ხალხს" ნიშნავს) ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძეს უდიდესი მოწიწებით მოიხსენიებენ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, და კავკასიური ერთობის საკითხებში მათ თანამოაზრეებადაც მიიჩნევენ. „პრეზიდენტი გამსახურდია დიდი პიროვნება იყო, ჰუმანისტი და მოაზროვნე. მე სიცოცხლეში რამდენჯერმე ვნახე იგი. გული მწყდება, რომ თქვენ მას ვერ გაუგეთ", – მითხრა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, პოლკოვნიკმა მუხარბეკ აგიევმა, რომელსაც სჯერა, რომ ედუარდ შევარდნაძე, რომელიც კავკასიაში ყველაზე ბრძენი და ავტორიტეტული პიროვნებაა, მშობლიურ მიწა-წყალს აუცილებლად დაუბრუნებს გამსახურდიას ნეშტს და მის ოჯახს, გაამთლიანებს ორ ნაწილად გახლეჩილ საქართველოს, – კავკასიის ერთობის ამ ისტორიულ ფორპოსტს. როდესაც რუსებმა ბარბაროსულად დაანგრიეს გროზნო, მრავალრიცხოვანმა ჩეჩენმა და ინგუშმა მებრძოლებმა გამოიყვანეს სამშვიდობოს ინგუშეთის ტერიტორიაზე პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახის წევრები, რომელთა უსაფრთხოებაზე ყოველთვის განსაკუთრებით ზრუნავდნენ ვაინახები.

„მე განსაკუთრებით თქვენი პრეზიდენტის უმცროსი ვაჟი, გიორგი მომეწონა, რომელიც ომის ცეცხლის ალში გახვეული გროზნოსკენ მიიწევდა და მზად იყო ხელიდან დასხლტომოდა მრავალრიცხოვან დამცველებს", – მითხრა ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა.

კობა ლიკლიკაძე

გაგრძელება იქნება

# ბელორუსის უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი მილიციაში „მეგობრული" საუბრის შემდეგ რეანიმაციაში წაიყვანეს

*რა ხდება ბელორუსში? ბელორუსის პრეზიდენტმა ყოვლისმნახველი ყოფილი საბჭოთა მოქალაქეებიც კი განაცვიფრა პოლიტიკური „გარეკვის" ხარისხით. გუშინ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ილიანე ხაინდრავას სახელზე ბელორუსიდან მოვიდა წერილი იქაური წამყვანი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარისაგან. ეს წერილი (რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ) წარმოადგენს პირველხარისხოვან ინფორმაციას იქ მიმდინარე ამბების შესახებ.*

**ქ.თბილისი**
**საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეს**
**ბატონ ილიანე ხაინდრავას**

პატივცემულო ილიანე ხაინდრავა!

ბოლო ხანებში ბელორუსში მიმდინარეობს პოლიტიკური რეპრესიების ესკალაცია. ბელორუსული დიქტატურის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ სერიოზულად ლაპარაკი არც კი გვიხდება – თვით გაგება „ადამიანის უფლებები" დღევანდელ ბელორუსთან მიმართებაში საკმაოდ კომიკურად ჟღერს. დიქტატურის წინაალმდეგ საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას ძალოვან სტრუქტურათა თანამშრომლები აკავებენ არა მარტო მონაწილეებს, არამედ ადგილზე შემთხვევით მოხვედრილ მოქალაქეებსაც კი. სოროსის ბელორუსული ფონდის აღმასრულებელი დირექტორის გაძევება, ამერიკელი დიპლომატის „პერსონა ნონ- გრატად" გამოცხადება (ეს იმ პირობებში, როდესაც აშშ ისედაც ამცირებს დიპლომატიურ კონტაქტებს ბელორუსთან), HTB-ს კორესპონდენტისათვის აკრედიტაციის ჩამორთმევა, ადასტურებს, რომ ლუკაშენკო სრულიად შეგნებულად მიდის დასავლეთთან კონფრონტაციაზე და მზად არის მისი მხარდაჭერის დაკარგვის შემთხვევაში იგივე ქმედებაზე წავიდეს რუსეთთან მიმართებაში; ამით აყენებს ბელორუსს კუბის ან ჩრდილოეთ კორეის მდგომარეობაში. რეჟიმმა გამოაცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელახალი რეგისტრაცია, ჩაატარა ჩხრეკები პოლიტიკურ პარტიათა შტაბ-ბინებში, ჩაატარა მიზანდასახული ნადირობა ოპოზიციონერ ლიდერებზე. გუშინ დააკავეს უმაღლესი საბჭოს ვიცე-სპიკერი, გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი გ.კარპენკო. მილიციის განყოფილებაში „მეგობრული" საუბრის შემდეგ მას წნევამ აუწია და იგი გააგზავნეს რეანიმაციაში. იქაც კი მთელი ღამე სპეცნაზელთა ბრიგადა მორიგეობდა. ყველაფერი ეს ნიშნავს, რომ ლუკაშენკო იწყებს ყველა ოპოზიციური პოლიტიკური სტრუქტურის და დამოუკიდებელი პრესის თანდათანობით ლიკვიდაციას.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ლუკაშენკო ცდილობს თანამოქალაქეთა ყურადღების მოდუნებას რუსეთთან შეერთებით. თუმცა ეს პროცესი ლუკაშენკოს სჭირდება მეორე, მისთვის უფრო მთავარი მიზნისათვის: გაერთიანების ტალღაზე გახდეს რუსი კომუნისტებისა და ნაციონალ-პატრიოტების აღიარებული ლიდერი და სლავი ხალხების „გამაერთიანებლის" ტიტულით ავიდეს რუსულ ტახტზე. საჭიროა, აბსოლუტურად ზუსტად გვესმოდეს, რომელ რუსეთთან უნდა გაერთიანება ლუკაშენკოს. ბელორუსი დიქტატორი არასდროს არ მალავდა თავის პოლიტიკურ მისწრაფებებს, იგი დრო და დრო, რეგულარულად უგზავნიდა სახალხო წყევლას „ხალხს, რომელთაც უნიჭოდ გასრისეს და გათელეს საბჭოთა სახელმწიფო" – ამავე დროს არ სურდა რა რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების გაფუჭება, არ აკეთებდა მისთვის ახლობელი რუსული პოლიტიკური ძალების ღია მხარდაჭერის დემონსტრირებას. დღეს (ალბათ რუსეთის მთავრობაში ყველაზე მაღალ პოსტებზე დემოკრატიული შეხედულებების მქონე ხალხის გამოჩენის გათვალისწინებით) ბელორუსმა დიქტატორმა საბოლოოდ მოიშორა ნიღაბი. სსრკ ხალხების კონგრესზე, მინსკში ჩამოვიდნენ რუსი „წითელ-ყავისფერთა" ყველაზე იდეური წარმომადგენლები. ლუკაშენკომ მათ მიმართა გულშიჩამწვდომი სიტყვით, სადაც ისინი „ძმებად" მოიხსენია. სრულიად ნათელია, რომ ლუკაშენკოსეულ ბელორუსთან გაერთიანება წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს უპირველეს ყოვლისა თვით რუსეთისათვის, შესაბამისად ევროპისთვისაც, რომელიც რუსეთში ლუკაშენკოს გავლენის გაძლიერების შემთხვევაში შეიძენს მტერს სავარაუდო პარტნიორის ნაცვლად.

მე გთხოვთ თქვენ, გაითვალისწინოთ ეს მოსაზრებები იმ პოლიტიკაში, რომელსაც თქვენ გაატარებთ რუსეთ-ბელორუსის გამაერთიანებელ პროცესებთან მიმართებაში.

მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით, გამოიყენოთ მთელი თქვენი გავლენა ბელორუსის დემოკრატიული ძალებისათვის დახმარების ხელის გასაწვდენად, დიქტატორულ რეჟიმზე გარე ზემოქმედების გასაძლიერებლად, პოლიტიკური რეპრესიების ბორბლის შეჩერების მიზნით.

გულწრფელი პატივისცემით

პროფესორი ს.ბოგდანკევიჩი
გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის თავმჯდომარე
ქ.მინსკი
26 მარტი 1997 წ.

# პრეზიდენტი შეშფოთებულია

გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე მოისმინეს ფინანსთა მინისტრის დ.იაკობიძის ინფორმაცია 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელმაც პრეზიდენტის მოწონება დაიმსახურა. გარდა ამისა, ფინანსთა მინისტრმა მთავრობის წევრების წინაშე გააკეთა ინფორმაცია 1997 წლის სახ.ბიუჯეტის შესასრულებლად გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

სხდომაზე, საგადასახადო ინსპექციის უფროსმა დ.სალარიძემ, თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა გადასახადების გადაუხდელობის პრობლემაზე, რომლის ძირითად მიზეზად ამ სფეროში, საკანონმდებლო სისტემის მოუწესრიგებლობა დაასახელა.

საბაჟო დეპარტამენტის უფროსმა თ.აბულაძემ, დააყენა საბაჟო გადასახადების შემცირების საკითხი, რადგან მისი აზრით, მაღალმა გადასახადებმა ხელი შეუწყო მეწარმეთა გაკოტრებას, რომელთა რიცხვმაც უკვე 80-ს მიაღწია.

პრეზიდენტის 1997 წლის 4 იანვრის ბრძანებულების „დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, შრომითი მოწყობის პრობლემებზე ინფორმაციით გამოვიდა პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი ბ.ხატიძე.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ თუ სასწრაფოდ არ გატარდა კონკრეტული ღონისძიებები, ქვეყანა სოციალური აფეთქების წინაშე დადგება. კერძოდ, მისი თქმით, დასახვეწია ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკა, გადასაწყვეტია გადასახადების გადაუხდელობის, რეალური შემოსავლების დაფარვისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის საკითხები. შეეხო რა, იმპორტ-ექსპორტის საკითხებს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უკვე ერთი წელია მუსირებს ეს საკითხი, მაგრამ წინსვლა კი, ჯერ არსად ჩანს. პრეზიდენტმა დაავალა სახელმწიფო მინისტრს, სერიოზულად იმუშაოს აღნიშნულ საკითხებზე, რათა ბოლოს და ბოლოს მართვადი გახდეს ეს პროცესი.

ე.შევარდნაძემ ხაზი გაუსვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გაშუქების საქმეში და ბოლო ჟამს მათი მუშაობა დადებითად შეაფასა. მანვე შეიტანა წინადადება რეგულარულად, თვეში ერთხელ, ჩატარდეს შეხვედრები საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებსა და ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებთან, რათა უფრო კომპეტენტურად გაშუქდეს აღნიშნულ დარგებში მიმდინარე პროცესები. (იფრინდა)

# „ედპ პირდაპირ ამბობდა ...“

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ყოველთვის პირდაპირ ამბობდა იმ საფრთხის შესახებ, რაც შესაძლოა საქართველოს ემუქრებოდეს“, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ედპ-ს პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა. მისი თქმით, მიუხედავად პარტიის ლიდერის ი.სარიშვილი-ჭანტურიას, შემდეგ კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და პრეზიდენტის განცხადებებისა, იმის თაობაზე, რომ საქართველოში არსებობენ ქვეყნის დესტაბილიზაციით დაინტერესებული პირები, საქართველოს პარლამენტი ჯერაც არ ჩქარობს აღნიშნული საკითხი სპეციალური კომისიის მსჯელობის საგანი გახადოს. ი.ქადაგიშვილის განცხადებით, პარტიის ლიდერი მზად არის საპარლამენტო კომისიას წარუდგინოს ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების მაფიასა და უცხოეთის აგენტურასთან კავშირის დამადასტურებელი ფაქტები. პარლამენტის წინადადებით კი, აღნიშნული დოკუმენტაცია ჯერ უშიშროების საბჭოს სხდომაზე უნდა გავიდეს და მერე გახდეს სპეციალური კომისიის მსჯელობის საგანი. ი.ქადაგიშვილის თქმით, ეს პოზიცია პარტიისათვის მიუღებელია, რადგან საბჭოს წევრები თვითონ დამნაშავე პირები არიან.

როგორც ი.ქადაგიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უშიშროების მინისტრმა შ.კვირაიამ, განცხადებით, რომ თუ სარიშვილს დამატებით დაცვას არ გამოუყოფენ, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, თავი დაიზღვია მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან. მისივე თქმით, დღეს ედპ-ს ლიდერის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო ძალიან ჰგავს 1994 წლის ტერაქტის წინა მდგომარეობას, და თუ ტერაქტი მართლა მოხდება, პასუხს, უმოქმედობისათვის, საქართველოს პრეზიდენტი აგებს. (იფრინდა)

# შევარდნაძემ მხოლოდ ცალ მუხლზე დაიჩოქა...

## საქართველოს პრეზიდენტს სურს ქვეყანა დაუახლოვოს დასავლურ სამყაროს და, ამასთან ერთად, რუსეთიც არ გააღიზიანოს

ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ესტუმრა საფრანგეთს ოფიციალურ ვიზიტად, ფერისცვალების ოსტატია. ყოფილი კომუნისტური ლიდერი, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი, დღეს საკუთარი ქვეყნის დასავლეთისკენ სვლის თავგამოდებული დამცველია. ურწმუნო „ექსაპარატჩიკი“ ეკლესიაში მოინათლა და საქართველოს მფარველი ანგელოზის წმინდა გიორგის სახელით „მოევლინა“ საკუთარ ხალხს.

სტალინის შემდეგ, ედუარდ-გიორგი შევარდნაძე ყველაზე ცნობილი ქართველია. დასავლეთისთვის, საბჭოთა დიპლომატიის ყოფილი მეთაური, სწორედ ის ადამიანია, ვინც ხელი შეუწყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქიშპობაში საბოლოო წერტილის დასმას. რა თქმა უნდა, იგი მუდამ მიხეილ გორბაჩოვის ზურგს უკან იდგა, მაგრამ ამ უკანასკნელს დღეს მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებში თუ მოიხსენიებენ.

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება სრულიად არ მოასწავებდა ქვეყნად მშვიდობისა და კეთილდღეობის დაფუძნებას. იგი მიხვდა, რომ გაცილებით ადვილია მართო მთელი იმპერია – თუნდაც „ბოროტებისა“ – ვინემ იდგე პატარა ქვეყნის სათავეში, რომელიც პირველ ნაბიჯებს დგამს დამოუკიდებლობის გზაზე; უფრო ადვილია ატომური იარაღით ჟონგლირება, ვინემ თავნება შეიარაღებული დაჯგუფებების მოთოკვა.

დაბრუნებისთანავე, 1992 წელს, შევარდნაძე იძულებული გახდა შებრძოლებოდა ორ სეპარატისტულ კონფლიქტს: ჯერ სამხრეთ ოსეთში, სადაც ქართველი ნაციონალისტების მოუქნელმა პოლიტიკამ დენთის კასრს ცეცხლი შეუნთო, შემდეგ კი აფხაზეთში, რომელიც, თავის დროზე, „საბჭოთა ლაჟვარდოვან სანაპიროდ“ მონათლეს. „ამ კონფლიქტების გასაღები რუსების ხელშია“, – ამტკიცებს ედუარდ შევარდნაძე.

რუსები მხარს უჭერდნენ სეპარატისტებს და ამით ანგარიშს უსწორებდნენ საქართველოს, რომელიც ისწრაფვოდა თავი დაეღწია რუსეთის „მფარველობისაგან“. კედელთან მიყენებული ქართველი პრეზიდენტი, იძულებული გახდა მიერთებოდა СНГ-ს და ამასთან ერთად 25 წლით შეეკედლებინა რუსული სამხედრო ბაზები.

შევარდნაძემ მხოლოდ ცალ მუხლზე დაიჩოქა: „ჩვენ მკაცრი პირობა დავუდეთ რუსებს: 200000 ლტოლვილი საკუთარ მიწას უნდა დაუბრუნდეს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, პარლამენტი შეთანხმების რატიფიცირებაზე უარს იტყვის“.

ალერსიანი ღიმილი, სივრცეში გაბნეული გამოხედვა შევარდნაძეს კეთილი ადამიანის ხიბლს შესძენს. მაგრამ ამ გულღიაობის მიღმა რკინის ნებისყოფა იმალება. 1995 წლის თავდასხმის შემდეგ მან ერთი დარტყმით მოუღო ბოლო დიდი შეიარაღებული დაჯგუფების უზომო პარპაშს. ელექტროენერგიის უკმარისობის გამო, გზა, რომელსაც საქართველო დაადგა, ჯერ კიდევ სულ მთლად აჩახჩახებული არ არის, მაგრამ, ეტყობა, რომ მას კეთილი მზრუნველი გამოუჩნდა. შედარებით მცირე ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკიც აღარაა, მაგრამ რჩება მთავარი – კორუფცია. „მე მსურს დავტოვო ყოველგვარი კორუფციისგან თავისუფალი სახელმწიფო. კორუფციას ფიზიკურად ვერ ვიტან“.

შევარდნაძის აზრით, „ორი ათასი წლის ისტორიის მქონე ქვეყანა ახლა იწყებს საკუთარი თავის მოხვეჭას: საქმე ეხება არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნას, არამედ თანამედროვე სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მენტალიტეტის გამომუშავებას და გამყარებას“. თვით მისი მოწინააღმდეგენიც კი აღიარებენ, რომ ამ რთული მისიის აღსრულება მხოლოდ მ ხელეწიფება.

დიპლომატიაში გაწვრთნილი შევარდნაძე რეალური კატეგორიებ აზროვნებს და მოქმედებს, თუმცა, ნაციონალისტთა გულისწყრომას იწვევ „ამიერკავკასიის ყველა ქვეყანამ რ სეთთან უნდა ითანამშრომლოს“, – აც ადებს პრეზიდენტი. მაგრამ ეს მას ხელ არ უშლის რუსეთის გავლენ შეზღუდვის მცდელობაში და „სუ უფრო მზარდი ევროპული ინტეგრაც ის“ მოთხოვნაში. საფრანგეთში მის ვიზიტიც ამ კონტექსტში უნდა გა ვიხილოთ. იგი თვლის, რომ საფრანგეთ „დაიგვიანა საქართველოში შემოსვლა“ მაგრამ ამ ხარვეზს „ადვილად მოე ლება“. სახელმწიფოს მეთაურს სწამ რომ მის ქვეყანას დიდი მომავალი ელი ამ მტკიცების ნებას მას საქართვე ლოს ბუნებრივი სიმდიდრეების სიუხ ვე აძლევს. სხვა თუ არაფერი, ქვეყნ გეოპოლიტიკური მდგომარეობაა მომავა ლი კეთილდღეობის გარანტი. საქართვე ლო ევროპისა და აზიის დამაკავშირე ბელი ხიდია. „ჩვენ გვიპყრია კავკასიი გასაღები“, – ამბობს შევარდნაძ

69 წლის პრეზიდენტი, რომელი მთავარ როლებს თამაშობდა საერთა შორისო პოლიტიკის სცენაზე, თამამა აცხადებს, რომ აროდეს ყოფილა ის ბედნიერი, როგორც დღეს, როდესა იგი საქართველოში „მეფობს“ და ხუთ მილიონი ქვეშევრდომის ბედს განაგებ „იცით, – ირონიული ღიმილით ამბობ იგი, – რუსეთში ბევრი დარწმუნებუ ლია, რომ მე იმიტომ დავანგრიე ე უზარმაზარი იმპერია, რომ საშუალებ მომცემოდა ჩემს პატარა ქვეყანაშ დავბრუნებულიყავი“.

არნო დე ლა გრან

(„ფიგარო“. 3 თებერვალ

ფრანგულიდან თარგმ

გიორგი ეკიზაშვილ

# ფეხმოტეხილმა კლინტონმა გულგატეხილი ელცინი დააშოშმინა

20 მარტს რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები ბ.ელცინი და ბ.კლინტონი ჩაფრინდნენ ჰელსინკში, რათა მიეღოთ მონაწილეობა იმ ღონისძიებაში, საზღვარგარეთის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა „ინვალიდთა სამმიტად“ რომ მონათლეს. სამმიტის შედეგებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისათვის, რადგანაც იგი შეეხებოდა ისეთ საჭირბოროტო საკითხს, როგორიცაა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. როგორც ამ ბოლო დროს გამოიკვეთა, რუსეთი ფრიად შეშფოთებულია ამერიკის ხელისუფლების მცდელობით, მოიძებნის სტრატეგიული პარტნიორი ყოფილი სოც.რესპუბლიკების რიგებში. თუ რუსული დათვი ნატოს მესვეურთა კონკრეტულ ნაბიჯებს, პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის გაწევრიანების შესახებ აშკარა უკმაყოფილებით ხვდებოდა, ჰაიერ სოლანას ვიზიტმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, რაც ასევე აშკარად სტრატეგიული თანამშრომლობისათვის ნიადაგის მოსინჯვის ხასიათს ატარებდა, წონასწორობიდან გამოიყვანა და ძილი დაუფრთხო გავლენის სფეროს დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დამდგარ იმპერიას. როგორც ბ.ელცინმა აღნიშნა, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჯერ არ ყოფილა უმაღლეს დონეზე ასეთი რთული შეხვედრა, რადგან განსახილველ საკითხს „რუსეთისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს“. მისი აზრით, მოლაპარაკებას უნდა გაერკვია, რამდენად გაიზარდა ნდობა ორ ქვეყანას შორის „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ. ბილ კლინტონის ვერსიით, მოლაპარაკების მიზანი იყო ისეთი ხელშეკრულების მიღება, რომელიც რუსეთს ნატოს რეალურ პარტნიორად აქცევდა. სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის განცხადებით იმის შესახებ, რომ რუსეთში ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგონ, რომ გეგმები, რომლებიც ამერიკას აქვს დასახული, მაინც შესრულდება, გარკვეულწილად დაიძაბა ურთიერთობა ორ პრეზიდენტს შორის.

ამა წლის ივლისში მოსალოდნელია პოლონეთის, ჩეხეთის და უნგრეთის მიწვევა ნატოს სამიტზე მადრიდში. ეს შეთანხმება, რასაც ბ.ელცინმა და ბ.კლინტონმა მიაღწიეს, ორივე მხრისათვის გარკვეულწილად კომპრომისული ვარიანტს წარმოადგენს. მისი შინაარსი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: რუსეთი არ შეუშლის ხელს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ შეეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს.

ბ.ელცინმა ჰელსინკიდან დაბრუნების შემდეგ, „ყოველი შემთხვევისათვის“, მოასწრო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების მოწინააღმდეგე ჩინეთსა და ინდოეთთან წარმომადგენლებთან მოლაპარაკება შესაძლო, საჭირო მხარდაჭერის შესახებ. საქმე ის არის, რომ საეჭვო გავლენის სფეროების კიდევ ერთხელ გადანაწილების მცდელობის ფაქტი.

კობა კიკნაძ

## ქვირაია ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობს?!

საამგენტოს კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი საიდუმლო ბაზაზე მზადდება სპეც-ჯგუფი აშშ-ში გასამგზავრებლად, სადაც იგი მომზადებას გაივლის. იმავე წყაროს ცნობით, ჯგუფი აშშ-ში ერთ წელს დაჰყოფს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საagენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ზ.ანთაძეს, რომელმაც განმარტა, რომ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, მართლაც დააყენა საკითხი აშშ-ში სპეც-ჯგუფის გასამგზავრებლად. მისივე თქმით, საკითხი განხილვის სტადიაშია. •

## ლიპარტელიანს ავიწროებენ

დღეს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გ.ქერვალიშვილმა გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში დაიწყო საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის რ.ლიპარტელიანისა და მისი ოჯახის წევრთა დევნა-შევიწროება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების დავალებით, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები რ.ლიპარტელიანს დაკითხვებზე იბარებენ. ასოციაციის პრეზიდენტი აღსანიშნავად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ რამოდენიმე თვის წინ რ.ლიპარტელიანმა მოითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი აშშ-ში. გ.ქერვალიშვილის მოთხოვნაა – შეწყდეს რ.ლიპარტელიანის დევნა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, საagენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა უშიშროების სამინისტროს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელს, რომელმაც განაცხადა, რომ რ.ლიპარტელიანი მართლაც იყო გამოძახებული სამინისტროში, სადაც იგი (მხოლოდ ერთხელ) მოწმის სახით დაიკითხა. მისივე თქმით, საქმე, რომელიც ძიების პროცესშია, ეხება დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებას. რაც შეეხება რ.ლიპარტელიანისა და მისი ოჯახის წევრთა დევნას, პრეს-ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. (იფრინდა)

## შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, კუ-ბაღლინჯო ყველაფერს აზიანებს, ადამიანის ჯანმრთელობის გარდა

დღეს, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების და სურსათის დეპარტამენტის უფროსმა გ.გელენიძემ პრეს-კონფერენცია გამართა. აღინიშნა, რომ ბოლო დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ერთი თვის განმავლობაში (1996 წლის ზაფხული) თბილისი ბაღლინჯოიანი პურით მარაგდებოდა. ხორბალი შემოიტანა ს/ს „აგროინვესტმა“. მისივე თქმით, ს/ს „აგროინვესტი“-ის მიერ ხორბლის შემოტანისთანავე, მოსახლეობა ინფორმირებული იყო, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში თბილისსა და რუსთავში იყიდებოდა დაბალი ხარისხის, არასასაქონლო სახის მქონე პური. მიზეზების გარკვევის შემდეგ უხარისხო პურის გაყიდვა აღიკვეთა. გ.გელენიძის განცხადებით, „კუ-ბაღლინჯო“ მექანიკურად აზიანებს ხორბალს, აქვეითებს პურის ცხობის უნარიანობასა და ხარისხს, მაგრამ გ.გელენიძის მტკიცებით, იგი ადამიანის ჯანმრთელობაზე არავითარ გავლენას არ ახდენს.

ამასთან დაკავშირებით, ს/ს „აგროინვესტი“-ს საკითხი, განიხილა პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ. მასალები გადაეცა პროკურატურას.

რაც შეეხება რესპუბლიკაში პურის მარაგის უკმარისობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ შექმნილია ხორბლის იმდენი მარაგი, რამდენიც არასოდეს ჰქონია საქართველოს.

პურზე ფასების შესაძლო მომატებასთან დაკავშირებით, დეპარტამენტის უფროსმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრი ბ.გულუა შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც განაცხადა, რომ ვიდრე მოსახლეობისათვის პურზე კომპენსაციების გაცემის საშუალება არ იქნება, არ მოხდება პურზე ფასების მომატება. (იფრინდა)

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

### ცოდნა სიკეთისა და სინათლის წინააღმდეგ

ცხოვრება არსებობისათვის და არა არსებობა ნამდვილი ცხოვრებისთვის, რაც ესოდენ მაღალმხატვრულად ასახა დავით კლდიაშვილმა, სხვა უამრავ პარადოქსებს შორის ერთ უკუღმართობასაც ხდის საცნაურს:

ცასმოწყვეტილი, სულიერებადაკარგული ადამიანი ყველა ქმედებას, ყოველგვარ მიზანს, ოცნებას, იდეალს უკავშირებს ერთადერთს – როგორმე გადაირჩინოს ფიზიკური არსებობა და, აქედან გამომდინარე, ადამიანური ვნებების ასპარეზზე, როგორც პოეტი იტყოდა, მგლური კანონი ღმუის.

სულიერ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი ცოდნის შეძენის წყურვილიც კი მგლური კანონის აღსრულებას ემსახურება. კლდიაშვილის სინამდვილეში როგორც სხვა განზომილებები ქცეულა ჭეშმარიტის კარიკატურულ გამოვლინებად, ასევე დამართნია იმას, რასაც ცოდნა ჰქვია.

ზნეობადაცემულ საზოგადოებაში ცოდნა გამოდის განათლების, ამაღლებულის, სიკეთის წინააღმდეგ.

იქ, სადაც მეფობს მგლური კანონი, ჭკუა აღარ არის გონიერების სინონიმი. ჭკუას, მოხერხებულობას, საზრიანობას ენაცვლება საქმის მოკვარახჭინების, ხრიკების გაბმის ოსტატობა.

გაიხსენეთ მოხუცი პლატონის ვედრება სოლომონისადმი: „რაცხა ეშმაკად შვილი შევიყვანე სასწავლებელში, ქე ვნანობ ახლა, ნამეტანი ხარჯი უნდება... ბოვშიც ტირის და იხვეწება, სასწავლებლიდან არ გამომიყვანოო... სწავლის ფული მაქვს შესატანი და ამისთვის მოვედი შენთან... რომ არ შეგაწუხო, მეტი გზა არა მაქვს. ვადაც ქეა გადასული, შენ რომ ფულების დაბრუნებას შემპირდი...

ბოვშვს გამომიგდებენ და ნუ ჩადგები ჩემს ცოდვაში...“

იმ სიბნელეში, დავითის პერსონაჟები რომ ცხოვრობენ, გამოჩნდა კაცი, სწავლის სიკეთე რომ შეუგნია და არაფერს იშურებს, რათა შვილი სასწავლებლიდან არ გამოუგდონ და სხვებივით ყრუელა არ დაურჩეს. მაგრამ თხზულების სრულად გადაკითხვის შემდეგ, თქვენ ხვდებით – სწავლის მოთხოვნილება მხოლოდ იმ მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული, რომ სწავლულმა უფრო მოხერხებულად ატყუოს სხვა, ვიდრე ამას ყრუელა „უსტავლელი“ იზამდა.

ბესარიონ ქათამაძის სასიძო, მართალია, აზნაური არ არის, მაგრამ მასზე პირდაპირ ნადირობენ, რადგან სიძედ „იმისთანა ყმაწვილები ასთუმნიან ქალებს არ ჯერდებიან“, – ამბობს მაშვალი სოლომანი. რატომ მაინც, რომელი ავთანდილი ან ტარიელი ჰყავს ქაიხოსრო ქათამაძეს გაზრდილი?

საქმე ისაა, რომ ნიკოია სასულიერო წოდების კაცია, მღვდლებს კი საერთო გაჭირვების ფონზე უზრუნველი ლუკმა აქვთ. ეპისკოპოსი ნიკოს მღვდლად კურთხევას უპირებს, თანაც დიდ მრევლიან ეკლესიაზე ამწესებს. ტყუილია თუ მართალი მაშვლის ეს სიტყვები, მთავარი არ გახლავთ. მთავარი ის არის, რომ მღვდლად შესაგულებელი კაცი სასურველი სასიძო ხდება, ვინაიდან სხვა გაჭირვებულებივით არ იცხოვრებს. მთავარი ის არის, რომ სასულიერო განათლებას იმიტომ ეწაფება ახალგაზრდა, იმის გამო იკლავს მშობელი თავს, რათა შვილს სასწავლებელი დაამთავრებინოს, – რომ იცის, ღვთისმსახური ღვთის სხვა შვილებზე უკეთ იარსებებს, ცხადია, მათივე გაჭირვების ხარჯზე...

მართალია, ნიკო ჯერჯერობით სხვებს არ დამსგავსებია, მაგრამ მთავარია ის მუშტრის თვალი, რომლითაც მას უყურებს სოფელ-ქვეყანა, როგორც ნასწავლ, ანუ მომავალში – უშრომლად ცხოვრების შემძლე კაცს.

ამდენად „სოლომან მორბელაძის“ მიხედვით ისე, როგორც ეს „ქამუშაძის გაჭირვებაში თუ „სამანიშვილის დედინაცვალშია“, ცოდნა სწორედ იმის ანტიპოდადაა წარმოდგენილი, რასაც განათლება ანუ სხვისი ჭირით შეჭირვების უნარი ჰქვია. გაიხსენეთ „სწავლულები“: პორფირ ბიაშვილი, ბეგლარ ჯინჭარაძე, ივანე გვერდევანიძე, რომელთა ჭკუაც ფლიდობასა და ყრუელა ხალხის გაცუცურაკებაშია გამოხატული.

ერთი სიტყვით, დავითმა არსებობისათვის მებრძოლი ადამიანების ცხოვრების გადმოცემის ფონზე გვიჩვენა, რომ ასეთ საზოგადოებაში თვით ცოდნაც კი, ადამიანის სრულყოფილების საფუძველი, ადამიანისავე დეგრადაციის მიზეზად არის გადაქცეული. სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვისაც ესეც ერთ-ერთი ნაცნობი წყევლა-კრულვიანი საკითხი გახლავთ.

და ბოლოს, ყველაზე ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში კლდიაშვილის სინამდვილის მიხედვით ახალგაზრდა ქალები არიან.

საგმირო-სარაინდო და სატრფიალო რომანებზე აღზრდილი ქართველი გოგონა, რომლის თვალზე ცრემლი აკიაფებულა ვისისა და რამინის, ტრისტანისა და იზოლდას, ტარიელისა და ნესტანის სასიყვარულო თავგადასავლების თხრობისას, ვინც ელოდება თავისი ოცნების რაინდს, ახალ გაჭირვებულ ყოფაში აღმოჩნდება მწარე რეალობის წინაშე – რამდენ თუმნად გაიყიდება იგი?

„მაღალი, შავთვალწარბა, ლამაზი პირისახის ყმაწვილი ქალიშვილი, წელზე გადაგდებული ორი გრძელი ნაწნავით“ – ამ ერთადერთი ფრაზით წარმოგვიდგენს მწერალი დარცხვენილ, დედის ზურგს ამოფარებულ ელპიტეს, რომლის გამოც ისეთი ვაჭრობა გაუმართავს სოლომან მორბელაძეს, ისე დაჟინებით იტყობინება სამამამთილო, შეთანხმებულ ფასს კაპიკი არ დააკლდესო, თითქოს მშვენიერი ასულის ნაცვლად ჯოჯოხეთის მაშხალას თხოულობდნენ.

იმ „ღირსსახსოვარ“ დიალოგებში, მაშვალსა და ქალ-ვაჟის მშობლებს შორის რომ იმართება, ლაპარაკია მხოლოდ ფულზე.

ბესარიონმა, ქალიშვილის მამამ, უნდა მისცეს ქაიხოსროს, სასიძოს მშობელს, ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი!..

მაშვალს, თავის მხრივ, წილად უნდა ხვდეს ექვსი თუმანი.

როგორ იშოვოს ბესარიონმა ამდენი ფული? ხომ არ დაუკლებს ერთ ას მანეთს ქაიხოსრო საწყალ ბესარიონს? ხომ არ დაალევინებენ ჩაილურის წყალს სოლომანის სამაშვლო 60 მანეთს?

აი, დიალოგების თემა, ამ ადამიანებს რომ გაუმართავთ, თითქოს საქმე მშვენიერი ასულის გათხოვებას კი არა, საახალწლოდ დასაკლავი ბურვაკის ყიდვა-გაყიდვას ეხებოდეს...

ერთადერთი, ვისაც არაფერს ეკითხებიან, ეს თვით ელპიტეა. ის კი არა, თუ ისეთი მსურველი გამოჩნდება, რომელიც ქალის მშობლებს ცოტა ნაკლებ თანხას დასჯერდება, მზად არიან „ნივთი“ ამ ახალ მსურველს უბოძონ. თავის მხრივ, პროტესტსაც აზრი არ აქვს, ვინაიდან ასეა წესი, ან უნდა გადაიხადო, ან შინაბერად დაიტოვო ქალიშვილი...

რუსთაველის ქვეყნის ამაზე შორს წასვლა, ამაზე უარყოფითი სურათის წარმოდგენა, აღარც შეიძლება.

ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ახალ დროს ახალი ადამიანები მშვენივრად მორგებიან...

* * *

მიაცილებს დიდი მწერლის მზერა სოფლის მტვრიან შარაზე ჯორითა თუ ბეხრეკი ცხენით მოჩაქჩაქე, მოტყუებულ მხედარს და თვალებში ირეკლება სინანულის, სიყვარულის, აღშფოთების ცრემლი მისი ყოფის გამო. მოიხედე უკან, შე მადლიანო, ჯორიდან ცხენზე, ცხენიდან ავტოზე, ავტოდან თვითმფრინავზე ამხედრებული ის მზერა ისევ მიგაცილებს! ისევ სინანულით, ისევ სიყვარულით, ისევ აღშფოთების ცრემლით, რადგან შენში არაფერი შეცვლილა ჯერაც...

## დავით კლდიაშვილი „სოლომან მორბელაძე“

### განხილვა

ნოდარ გრიგალაშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №29

# თურქეთში არსებული ქართული დიასპორის პოლიტიკური ორიენტაცია სულერთი არ უნდა იყოს საქართველოსთვის

## საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ გურამ ფანჯიკიძეს

ბატონო გურამ!

დღითიდღე ვითარდება საქართველო-თურქეთის ურთიერთობა, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ყველ ახალ დაწყებულ საქმეში, ასევე საქართველო-თურქეთის ურთიერთობაშიც შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები.

ამჯერად თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო ორი ქვეყნის კულტურულ, ჰუმანიტარულ ურთიერთობებს. ჩემის ღრმა რწმენით, ასეთი საქმიანობის გადადება და კიდევ უფრო დაგვიანება მოიტანს გამოუსწორებელ შედეგებს ორივე ქვეყნისათვის; როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურის სფეროებშიც. საქმე ისაა, რომ თურქეთში ქართული დიასპორა მასთან სწორი ურთიერთობის წარმართვისას შეიძლება იქცეს გარკვეულ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ძალად, რომელიც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს თურქეთში პანთურქისტული და პანისლამისტური ტენდენციების შესუსტებასა და სამოქალაქო - სამართლებრივი საზოგადოების შექმნას, რის მიმართ საქართველო, რასაკვირველია, გულგრილი არ არის და არც უნდა იყოს. მეორეს მხრივ კი, თურქეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველების ისტორიული თუ ეროვნული ცნობიერების ერთგვარ აღდგენას, რაც საქართველოს უწინარეს ჩამოაცილებს საფრთხეს, რომელიც მოვლენების არასასურველი განვითარების შედეგად სწორედ თურქეთში მცხოვრები ქართველებისაგან არის მოსალოდნელი. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან ბრმა იარაღად თურქ-ისლამ ფუნდამენტალისტების მიერ, რისი რეციდივებიც ჩრდილოკავკასიელთა დიასპორაში უკვე შეინიშნება. ხოლო, თუ თურქეთში მცხოვრები ქართველები ნაზიარები იქნებიან თავიანთი წინაპრების კულტურას და ექნებათ სწორი ინფორმაცია ისტორიის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ისინი თავიანთი ისტორიული სამშობლოს მეგობრებად იქცევიან და თავის ხელისუფლებასაც იმავეს მოსთხოვენ. ამ მხრივ დღევანდელი მდგომარეობა სავალალოა.

თავი რომ დავანებოთ თურქეთის ოფიციალურ ისტორიოგრაფიასა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, სადაც ფაქტები, რბილად რომ ვთქვათ, დამახინჯებულია, დღესაც ხდება ისტორიის გაყალბება. ამის სანიმუშო მაგალითებს აქვე შემოგთავაზებთ: 1995 წელს ქალაქ სამსუნგში თურქულ ენაზე გამოქვეყნებულია „ვეფხისტყაოსანი", რომელიც აზერბაიჯანული ენიდან ე.წ. თურქი - ქართველის მიერ არის გადათარგმნილი. წიგნის შესავალში წერია აბსურდული არგუმენტების საფუძველზე მტკიცება იმისა, რომ ავტორი, შოთა რუსთაველი, ე.წ. თურქი-მესხია, წარმოშობით თურქული ტომისაა... იმავე პერიოდში ერთ-ერთი ე.წ. ქართული სათვისტომოს მიერ (თქვენ წარმოიდგინეთ, წიგნის ავტორი ისევ ე.წ. თურქი ქართველია) გამოცემული წიგნი, სახელწოდებით „აჭარა" დაგიდასტურებთ, თუ სადამდე შეუძლია მიიყვანოს თურქ-ისლამ ფუნდამენტალიზმს ადამიანის ფანტაზია.

ამას წინათ, სტამბოლის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი, ვინმე მეჰმეთ სარი ამტკიცებდა: საქართველოსა და თურქეთს შორის არასოდეს ყოფილა მტრული ურთიერთობა. როდესაც საქართველო მშველელს ეძებდა, ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით დასახმარებლად, მაგრამ საქართველომ არჩევანი მაინც რატომღაც რუსეთზე გააკეთა... აფხაზები და აჭარლები თურქულენოვანი ტომები არიან და საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენო. არც ერთ თურქ ფაშას საქართველოს გამაჰმადიანებაში მახვილის პოლიტიკა არ გაუტარებია, მათ მაჰმადიანობა თავისით აირჩიესო... და ა.შ.

საქართველოში 1995 წლის არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო ბლოკ „პროგრესის" თუ „რეგრესის" საპროპაგანდო ორგანოში საქართველოს დიდ ნაზირ-ვეზირთა, ავთანდილ მარგიანის „სულიერი" უმცროსი ძმის თბილისის დემირელის სახელობის კოლეჯის და ე.წ. თურქული უნივერსიტეტის მთავარი დამაარსებლის, საერთაშორისო მასშტაბის ე.წ. „ჰუმანიტარ-ბიზნესმენის" პატარა სიცოცხლის (ჰაითთი ქურიჯი, აა.) პატარა აზრები ემთხვევა თურქი პროფესორის მეჰმეთ სარის ზემოაღნიშნულ აზრებს, რომელსაც იგი „აჭარაში" ქადაგებდა.

ეს ყველაფერი როდი ხდება შემთხვევით. მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ყველაფერი გეგმაზომიერად ხდება და ემსახურება იმ დიდ პოლიტიკას, რასაც ჰქვია „დიადი საქმე" - ე.წ. - თურქული ისლამიზმი. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში „ახალგაზრდა თურქებმა" შექმნეს „დაროლ მოალემინ" სამასწავლებლო სემინარიები, სადაც ძირითადად პანთურქისტების „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის წევრ თურქებს იღებდნენ. ამ სკოლებში სწავლება რასისტული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, ხოლო სწავლების მიზანი და პროგრამა გამოხატული იყო ლოზუნგით - „ყველა მაჰმადიანი გადაიქცევა თურქად".

ცნობილია თურქეთში არსებული მრავალრიცხოვანი (!) ქართული დიასპორის წარსული, ისტორიული ქარტეხილი, კულტურული არეალი, კარჩაკეტილობა გარე სამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთან. ამ ყველაფერს ბოლო წლებში დაემატა ზემოთხსენებული ძველთაძველი იდეოლოგია: „ყველა მაჰმადიანი გადაიქცევა თურქად". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხსენებული იდეოლოგია ინფორმაციულ ერაშიც კი „ოფიციალურად" ძალაში რჩება, თითქმის იმავე ანალოგიური ფორმით, რასაც ჰქვია „კულტურული საქმიანობა".

თურქეთში არსებული ქართული დიასპორა, რომელიც 21-ე საუკუნის მიჯნაზე თანდათან უფრო ორგანიზებული ხდება, რა პოლიტიკურ ორგანიზაციას აირჩევს, სულერთი არ უნდა იყოს საქართველოსათვის. საქმე ისაა, რომ რეალურად არსებობს ორი თურქეთი: ერთი ლაიცისტურ-დემოკრატიული, მეორე კი ფუნდამენტურ-თურქულ-ისლამისტური. მხოლოდ დემოკრატიული ორიენტაციის საბოლოო გამარჯვებისა და სამოქალაქო სამართლებრივი საზოგადოების არსებობის პირობებში შეძლებს ქართული დიასპორა სამოქალაქო დემოკრატიულ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლება უნდა ცდილობდეს ხელი შეუწყოს თურქეთს დემოკრატიისათვის, იმდენად, რამდენადაც ეს მას ხელეწიფება. ასევე უნდა ცდილობდეს ქართული დიასპორის დემოკრატიულ თურქეთზე ორიენტირებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ქართული დიასპორისათვის თავისი „ვალის" გადახდას ორივე ქვეყნის წინაშე და ხელს შეუწყობს მათ კეთილმეზობლურ, მეგობრულ ურთიერთობას - არ იქცევა ბრმა იარაღად (ისე, როგორც ჩრდილო კავკასიელთა დიასპორა) მავანთა ხელში. მით უმეტეს რეაქციული თურქ-ისლამისტების ზრახვები ნათელია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ყველანაირი წინაპირობა - პოტენციური საშიშროება მართლაც არსებობს. ახლად ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ქართული დიასპორა, მსგავსად ჩრდილო კავკასიელთა დიასპორისა, შეიძლება გადაიქცეს საქართველოს წინააღმდეგ „ბრმა" იარაღად, თუნდაც აჭარასთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, კლასიკური ტიპის ჯანსაღი დიასპორა სამოქალაქო - სამართლებრივი საზოგადოების წიაღში აღმოცენდება და მიჩნეულია ერთ-ერთ დემოკრატიულ სამოქალაქო ინსტიტუტად. აღსანიშნავია ისიც, რომ კლასიკური ტიპის დიასპორა მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც ხელისუფლებაზე, ასევე საზოგადოებრივ აზროვნებაზე გარკვეულ დიდ ზეგავლენას ახდენს. მაგალითად: აშშ-ში ებრაული, ბერძნული, სომხური დიასპორა.

ასეთ ვითარებაში, ინფორმაციულ ერაში აუცილებლად თურქეთის ოფიციალური, თუ ნახევრად არაოფიციალური რეაქციული ძალების მიერ ე.წ. „კულტურულ საქმიანობას" საქართველომ უნდა დაუპირისპიროს ისევ „კულტურული საქმიანობა". აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი საქმიანობა არც ერთი დაწერილი კანონითა თუ კონვენციით არ არის რეგისტრირებული, მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები გვევლინებიან ასეთი ქმედების გარანტად. სხვათა შორის, ჩვენს მიერ შემოთავაზებულ „კულტურულ საქმიანობას" მთელ მსოფლიოში გარკვეული დიდი ტრადიციები გააჩნია, დღევანდელი თურქეთისათვისაც მისაღებ ფორმას წარმოადგენს. წინადადება ასეთია: ქართული კულტურის თურქეთში მასიურად გატანა, უპირველეს ყოვლისა, ქართული მხატვრული ლიტერატურისა, კინოხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშებისა, თურქეთში არსებული ქართული დიასპორის წარსულის ამსახველი ისტორიის ასპექტებისა პოპულარულ ენაზე. ასეთი საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, ძირითადად თურქეთის პროვინციებში მცხოვრები ქართული დიასპორის ცნობიერებაზე დადებით გავლენას მოახდენს და ეს სხვადასხვა მიზეზთა გამო მათ ცნობიერებაში არსებული კულტურის ტრადიციების მქონე წარმომავლობის მქონე კომპლექსს მოხსნის. ამავე დროს უდაოა ისიც, რომ მათ სამოქალაქო თუ სამართლებრივ აზროვნებაზეც დადებით ზეგავლენას მოახდენს. რასაკვირველია, თავისთავად ასეთი საქმიანობა თურქ ისლამისტ რეაქციულ ძალებს გზას მოუჭრის თუნდაც ისეთი პრიმიტიული ქმედებებისაგანაც, რომელთაც ზემოთ აღვნიშნავდით: შოთა რუსთაველის თურქული წარმომავლობა და სხვა.

ბატონო გურამ!

ამ ხარვეზის გამოსწორება დიდ მოქალაქეობრივ საქმედ მიმაჩნია და ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, შემოგთავაზოთ კონკრეტული საქმიანი წინადადება. საჭიროდ მიმაჩნია საქართველოში შეიქმნას ქართული კულტურის თურქეთში გატანის ცენტრი. მაქვს რა მხედველობაში საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი ფინანსური მდგომარეობა, მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ასეთი ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც არასახელმწიფო სტრუქტურა. ჩემის აზრით, ამ ეტაპზე მაინც როგორც პოლიტიკურად, ისე საქმის ეფექტური წარმოებისათვის მიზანშეწონილია არასახელმწიფო სტრუქტურა. იქნებ დადგეს დრო და მე მჯერა, რომ დადგება, როცა საქართველოს ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ხარჯები თურქეთში ქართული დიასპორისათვის. ისევე, როგორც ეს მიმდინარე წლის ბიუჯეტში აისახა აზერბაიჯანის ქართული დიასპორისათვის. ამისათვის საჭიროა საქართველოს პრეზიდენტის კეთილი ნება (მე მჯერა მისი გამჭრიახობისა და შორსმხედველობისა), რათა მოგვეცეს საშუალება ქვეყნისათვის საჭირო სასურსათო თუ სხვა პროდუქციის დაუბეგრავად შემოტანისა გარკვეული კვოტებით, რაც საბოლოო ჯამში გარკვეულ ფინანსებს შექმნის და საშუალებას მოგვცემს რეალურად ვაქციოთ ქართული კულტურის თურქეთში გატანის იდეა.

ჩემის აზრით, ამ ეტაპზე აუცილებელია ქართული მხატვრული ლიტერატურის მასიური თარგმნა და თურქეთის ქართველებამდე მათი მიტანა. მუჰაჯირობისა და საქართველოს ამ კუთხის ისტორიის პოპულარულ ენაზე დაწერა, ქართული კინოს პროპაგანდა, ჩვენება და სხვა. ჩემი ღრმა რწმენით, თუ ეს იდეა განხორციელდა, იგი იქნება ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მომავლის ღირსეულად შეხვედრისა.

პატივისცემით
ალი ალთუნი

# სამხედრო მოსამსახურემ თავი მოიკლა

რუსეთის სამშვიდობო ძალების რიგითმა სამხედრო მოსამსახურემ ავტომატური იარაღით თავი მოიკლა. ეს მოხდა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, დაახლოებით, დღის 15 საათზე. ამავე დღეს მოხდა ინციდენტი სოფელ რეფში. ენგურჰესის მესამე დამბის ტერიტორიაზე აფხაზმა ბოევიკებმა ცეცხლი წაუკიდეს ძმები ცანავების ორ საცხოვრებელ სახლს. (ბი ჯი აი)

# მოქალაქეებს სთხოვენ დეკლარაციას

საქართველოს მოქალაქეებმა საგადასახადო ინსპექციაში უნდა წარადგინონ დეკლარაცია შემოსავლების შესახებ - ამის კომენტირებას აკეთებს საქართველოს საგადასახადო სამსახურის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თეიმურაზ დევალი:

- დეკლარაციაში მისათითებელია ყველა სახის შემოსავლები - მითითებული უნდა იყოს ამ შემოსავლების წყაროები და მათ მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალი თვეში 9 ლარს შეადგენს, წლიური შემოსავალი არ იბეგრება. შემოსავალი 9 ლარიდან 200 ლარამდე იბეგრება 12 პროცენტის ოდენობით, 200 ლარიდან 350 ლარამდე - 15 პროცენტით, 350 ლარიდან 600 ლარამდე - 20 პროცენტზე ზევით.

არ იბეგრება პენსიები, ჯანმრთელობის გაუარესებისას მკურნალობისთვის მიღებული თანხები, ხანმოკლე მივლინებებისთვის მიღებული თანხები, უმუშევრობის დახმარებები, სტიპენდიები, ობლიგაციებითა და საბანკო შენატანებით მიღებული თანხები, პირადი ნივთების გაყიდვით მიღებული თანხები.

გადასახადებისაგან თავის არიდებისა და დეკლარაციის არასწორი შევსების შემთხვევაში ხდება მთლიანად დაფარული თანხის კონფისკაცია და ბიუჯეტში გადარიცხვა. ამას დაემატება ზუსტად იგივე მოცულობის თანხით დაჯარიმება. დეკლარაციის არასწორი შევსებისათვის ფიზიკური პირი პასუხისგებაში მიეცემა.

# კვლავ ეს მაწანწალა ძაღლები

საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, მიუხედავად თბილისის მერიის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რომელიც მაწანწალა ძაღლების პრობლემას შეეხებოდა, მდგომარეობა ამ კუთხით კვლავაც მძიმეა. დედაქალაქის რიგ რაიონებში (დიდი დიღომი, საბურთალო, გლდანი და სხვა) შეინიშნება მაწანწალა ძაღლების მოზღვავება. გასულ კვირას დედაქალაქში ადგილი ჰქონდა მაწანწალა ძაღლების მიერ ბავშვების დაკბენის 40 შემთხვევას. (იფრინდა)

# შუქი მხოლოდ 2 საათი გვექნება

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის „თელასიდან" გახდა ცნობილი, აპრილის შუა რიცხვებამდე მთელ ქალაქს, სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების გარდა, დილის საათებში ელექტროენერგია არ მიეწოდება, რაც ენერგორესურსების ნაკლებობით და ენგურჰესზე სარემონტო-მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებით არის გამოწვეული. საღამოს საათებში დედაქალაქს ელექტროენერგია 2 სთ-ით მიეწოდება. ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების დაწყება ივლისისთვის არის ნავარაუდევი. (იფრინდა)

# საინვესტიციო ფონდები მხარდაჭერას ითხოვენ!

საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგაში გაიმართა თათბირი პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდების მონაწილეობით. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საინვესტიციო ფონდების მმართველები და სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელები, „ტასისის" პროგრამით მომუშავე უცხოელი ექსპერტები, სამინისტროებისა და პარლამენტის წარმომადგენლები. სხდომას უძღვებოდა ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტი ბ-ნ რომან გოცირიძე.

შეკრების ორგანიზება გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა ვაუჩერული პრივატიზაციის შემდეგ. სხდომაზე აღინიშნა, რომ მოქალაქეთა იმ ნაწილმა, რომელმაც არ გაყიდა ვაუჩერები და ისინი საინვესტიციო ფონდებში დააბანდა, ნდობა გამოუცხადა ამ ფონდებს. არა და ფონდების ფინანსური შედეგები დამოკიდებულია იმ საწარმოთა მდგომარეობაზე, რომელშიც იქნა განთავსებული ვაუჩერები. ამ მხრივ ვითარება მეტად სავალალოა. საწარმოთა აბსოლუტური უმეტესობა გაჩერებულია, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც მუშაობენ, მოგებას ვერ ღებულობენ, ან შეგნებულად არ უჩვენებენ მას და ბუნებრივია, არც დივიდენდი გაუციათ, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ფონდისა და მისი აქციონერების შემოსავლებზე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლომდე არ არის მოწესრიგებული ფონდების იურიდიული სტატუსი. საჭიროა, რომ საინვესტიციო ფონდში მუშაობდნენ იმ რეჟიმში, რომელსაც ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილება.

სხდომაზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული მეტად უარყოფითი ტენდენცია, როდესაც ხდება უკვე პრივატიზებული საწარმოების ქონების გადაავსება და შესაბამისად აქციონერების მიერ შეძენილი წილის შემცირება. ასეთ ქმედებას იმ მოტივით ასაბუთებენ, თითქოს თავდაპირველ ეტაპზე მოხდა ზოგიერთი საწარმოს ქონების არასწორი შეფასება. თუკი ასეთ მოვლენას მართლაც ჰქონდა ადგილი, უნდა კანონის ძალით დაისაჯოს შემფასებელი და არა ის აქციონერი, რომელიც პატიოსნად ენდო მთავრობის მიერ აუქციონზე გატანილ ინფორმაციას და დააბანდა თავისი სახსრები (როგორც ნაღდი ფული, ასევე ვაუჩერები) აღნიშნულ საწარმოში.

ლიგის სხდომამ დაგმო ასეთი ქმედება და მოითხოვა ამ მანკიერი მოვლენის შეჩერება.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეს-სამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება სამოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 100 კვმ ფასი 50000 დოლარი ტელ. 38-01-11

---

იყიდება ოროთახიანი არასტანდარტული კუთხის ბინა მეტრო „ელდეპოსთან". საერთო ფართი 55 კვმ. კაპიტალური რემონტით, ორი სარდაფით 40 კვმ ტელეფონით, მუდმივი ცხელი წყლით და დენით, ჭერის სიმაღლე 3.20. ფასი შეთანხმებით. ტელ. 66-37-19; 61-55-01

---

იყიდება ან იცვლება საბურთალოს ცენტრიდან ინდივიდუალური პროექტის ხუთ ოთახიანი ბინა ორ ოროთახიან ბინაზე ისევ საბურთალოზე. მის. იოსებიძის 51ბ, ბინა 27. საწყისი ფასი 40000 დოლარი. ტელ. 38-76-15

---

იყიდება ხუთოთახიანი ბინა ორ სართულიანი სახლის I სართულზე. ბინა იზოლირებულია, აქვს ნახევარსარდაფი საცხოვრებლად გამოსადეგი, საკუთარი ეზო (ფართი 250 კვმ) ბინა მდებარეობს გაგარინის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ფასი 90000 დოლარი ტელ. 37-52-79 თამაზი

---

იყიდება 2 ოთახიანი ექსპერიმენტული პროექტის ბინა, მეტრო „ვარკეთილთან", ქიმწმენდა „თოლიას" უკან. მეორე რიგი, X კორპ. ბ.43 მე-8 სართული. საწყისი ფასი 9000 დოლარი ტელ. 39-84-42

---

იყიდება მიწის ნაკვეთი 600 კვმ სახლის პროექტით. გლდანის ხოდაბუნებში. ფასი 1500 ლარი. ტელ. 39-84-42

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ლოჯით, ნუცუბიძის III მ/რ II კვ. VII კორპ. ფასი შეთანხმებით ტელ. 35-11-34 მზია.

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში. 5 სართულიანი სახლის I სართულზე. სარდაფით და ტელეფონით. ფასი 11000 დოლარი ტელ. 30-06-81

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში. III მრ-ში ფასი 12000 ლარი. ტელ. 61-75-96 ან 41-41-23

---

იყიდება 3 სართულიანი კეთილმოწყობილი აგარაკი, მარნით, ბუხრით, ავტოფარეხით, ფაცხით გაწყობილი. 600 კვმ ხეხილის ნარგავებით ლისის ტბის მიმართულებით. სოფ. წყლულეთში. თბილისიდან 17 კმ-ში. საწყისი ფასი 10000 დოლარი. ტელ. 72-04-84 რამაზი.

---

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული სუფთა ბინა ორსართულიანი სახლის II სართულზე. მაღალჭერიანი, ტელეფონით, სარდაფით. საერთო ფართი 75 კვმ საწყისი ფასი 20000 დოლარი. ტელ. 35-45-21 მანანა

---

ვყიდი დიდი ფართის ბინას საბურთალოს ცენტრში 220 კვმ რემონტით, სარდაფით, ავტომანქანის გასაჩერებელი ადგილით. ტელ. 37-77-50

---

იყიდება სასწრაფოდ არასტანდარტული 2 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში. საერთო ფართი 85 კვმ ტელ. 38-95-47

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ხრუშჩოვის პროექტის, მე-5 სართულზე ვაჟა-ფშაველას VI კვ. 35 კორპ. ლოჯით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 35-11-34 მზია.

---

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა 9 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე აქვს სარდაფი, საშრობი, მანქანის დასაყენებელი ადგილი, ტელეფონი. ტაშკენტის 18. საწყისი ფასი 27000$ ტელ. 37-54-29 დათო ან გია

---

ვყიდი 3 ოთახიან ბინას საბურთალოზე. აქვს დაშენების პერსპექტივა. არის მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი 18000 დოლარი. ტელ. 39-03-16

---

იყიდება 2 ნაკვეთი საირმის ქუჩაზე, წითელი ბაღის უკან, ერთი 500 კვმ, დამტკიცებული პატარა სახლით, მეორე 800 კვმ დამტკიცებული სამსართულიანი სახლის პროექტით და მშენებლობის ნებართვით. ორივეს ფასი 85000 დოლარი. ტელ. 38-93-49; 30-05-81

---

სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი ტიპიური კუთხის სუფთა ბინა. ვაჟა-ფშაველას II კვ. მე-20 კორპ. მე-4 სადარბაზო, III სართული, ბინა 45. ორი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-52-43

---

იყიდება 110 კვმ ფართი ოფისისათვის ან მაღაზიისათვის ტელეფონით, სარდაფით, რკინის კარებით, გისოსებით, მაღალ ბელეტაჟზე ლერმონტოვის ქ-ზე. ფასი 34000 დოლარი. ტელ. 38-01-11

---

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე ხუთ ოთახიანი მაღალჭერიანი სუფთა ბინა საერთო ფართი 180 კვმ ბინას გააჩნია ბუხარი, აივანი 17 კვმ, ორი სარდაფი 45+10 კვმ მანქანის სადგომი. მის. ჩიქოვანის (ყოფ. ხილიანის) 22 ბინა 19. ფასი შეთანხმებით. ტელ. 36-71-51

---

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაშლიჯვარში. ვეძისის პროექტის III სართული. ბინა გასარემონტებელია. ფასი 16000 დოლარი ტელ. 98-73-08

---

იყიდება ხუთსართულიანი სახლის IV სართულზე ერთმანეთის გვერდით სამი და 1 ოთახიანი იზოლირებული ბინები, კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, ტელეფონით. მის. ვაჟა-ფშაველას IV კვარტალი მე-14 კორპუსი. საწყისი ფასი 24000 დოლარი. ტელ. 31-23-39 ან 93-49-77

---

სასწრაფოდ იყიდება საკუთარი ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, საცხოვრებელი ფართი 87 კვმ. ყველა სათავსოთი. ზემოთ და ქვემოთ ორ-ორი ოთახი, 21 და 19 კვმ აქვს 700 კვმ ფართის ხეხილის ბაღი. საწყისი ფასი 25000 დოლარი, მის. მეტრომშენის დასახ. მესხეთის ქ. №147 ტელ. 74-63-29 ნოდარი

---

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, 5 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 71-25-85

---

სასწრაფოდ იყიდება მეტრო „ავლაბართან" იტალიურ ეზოში ერთსართულიან ბელეტაჟზე ორი ოთახი ლოჯიით და სამზარეულოთი. ორი სარდაფით, ტელეფონით, ეზოში მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 74-44-09. იკითხეთ მაგდა.

---

იყიდება 5 ოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან 200 კვმ საერთო ფართით, II სართულზე. ფასი 36000 დოლარი. ტელ. 29-18-57

---

იყიდება 4 ოთახიანი ბინა, ბახტრიონის ქუჩაზე, საცხოვრებელი ფართი 62 კვმ. აქვს მიშენება 40 კვმ V სართულზე, გარემონტებულია. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-08-20

---

იყიდება აგარაკი ნაფეტვრებში, მაღლიეი კორპუსიდან 8 კმ. დაშორებით, პირველი სართული კაპიტალურად ჩამოსხმულია საწყისი ფასი 1400 დოლარი. ტელ. 51-58-04

## მილოცვები

**გუგა ებანოიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ.

ვაჟკაცურად გეცხოვროს!

თამრიკო

---

**მიშკა კობახიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს ლამაზ ოჯახთან ერთად და გამართლებას ცხოვრებაში.

ხათუნა

---

ჩვენს საყვარელ რძალს **მარინა რეხვიაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს თავის ოჯახთან ერთად.

ხათუნა და ელზა ნოზაძეები

---

პატარა ქალბატონ **თამთა ჩახიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე დიდი გოგო, ჭკვიანი და ბედნიერი.

ლიკა და ხათუნა

---

ჩვენს საყვარელ, ლამაზ და ტკბილ დაიკო **მზიას** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, სიყვარულს, ხანგრძლივ სიცოცხლეს თავის პატარა ანანოსთან და ოჯახთან ერთად.

დიდი სიყვარულით ლია და ნინო

---

**ნინო სიხარულიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას.

მზია და სოსო

---

ჩვენს საყვარელ **ნინო გელაძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიყვარულს, დღეგრძელ და ლამაზ ცხოვრებას თავის პატარა შაკოსთან ერთად. ყოფილიყავი სულ ასეთი მშვენიერი, იუმორის გრძნობით სავსე და გულისხმიერი!

შენი „გოგოები"

---

**ზაზა გერგეშელიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს და წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

ნანა, შორენა ჯოხაძეები
ნაზი ხადოშვილი

---

**ეკა მეტრეველს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს და ლამაზ სიყვარულს.

ხათუნა და ამრიტა

---

ჩემო **ნათია!** გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს.

შენი ნათლია

---

**შორენა ქვრივიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას და სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

შენი მეგობრები

---

გია, მანანა და დალი იაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**გიორგი (გოგი) ფოცხვერაშვილი**
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა ანზორ ჯორბენაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი სტომატოლოგი
**ლიანა მიხეილის ასული ჯორბენაძე**
დაკრძალვა 29 მარტს, 14 საათზე, ჭიათურაში, რუსთაველის ქუჩა №42.

---

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41

## რა, როდის და რომელ არხზე

### ხუთშაბათი, 27 მარტი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 მოამბე. მესაკუთრე. მერიდიანი. პიგმა. ნაპ. რამპა. 20.00 მოამბე. ვიდეოპატრული 02. ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. პროგრამა დღე. 21.20 ტელესერიალი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 ვესტნიკი. მრავალსახეობა. გაუმარჯოს მუსიკას! 23.50 ქვიშის საათი.

**2** 19.00. ინფორმაცია მე-2 არხი. 19.20 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ელიტარული ქრონიკა. ინტერვიუ. 22.00 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მე-2 არხი. 22.30 რუსული მხატვრული ფილმი „ავი ძაღლი". დასასრულს – მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.15 ნოვოსტი. 11.15, 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 რათა გვახსოვდეს. 12.45 მოგზაურთა კლუბი. 13.35 სმაკი. 14.15 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ბრინჯაოს ფრინველი". 15.20 მულტფილმი. 15.45 აშკარა-დაუჯერებელი. 16.10 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.45 ჩუნგა-ჩანგას კუნძული. 18.05 მუსიკალური კარუსელი. 18.40 „ნიკო და მისი მეგობრები". 19.10 თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა. 19.35 სამყაროს გარშემო. 21.10 პიკის საათი. 21.35 ჯენტლმენ-შოუ. 22.05 ჩემი ოჯახი. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „ჭექა-ქუხილის გადასასვლელი". 1.45 შესანიშნავი ადამიანების ცხოვრება. 2.25 პრეს-ექსპრესი. 3.40 „კრეკერის მეთოდი".

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი-მარკეტი. 10.20, 3.15 ტელემაღაზია. 10.25, 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ.. 11.20, 12.55, 13.15, 3.05 პროდუქცია – ფოსტით. 11.30, 22.35 საკუთარი თავის რეჟისორი. 12.05, 23.15 „სანტა-ბარბარა". 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.05, 18.20 თქვენი პარტნიორი. 14.10 ავტოგრაფი. 14.15 შაბათ საღამოს გალინა ვიშნევსკაიასთან და მსტისლავ როსტროპოვიჩთან. 15.40 მულტფილმი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.35 რეპორტიორი. 17.50 საუკუნის ზღურბლზე. 18.30 ადამიანები, ფული, ცხოვრება. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21.40 რუსები. 1.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ეძღვნება მსტისლავ როსტროპოვიჩს. 1.45 წყნარი სახლი. 2.25 ეპ, გზები!

**НТВ** 8.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 21.00, 00.00, 2.00 სევოდნია. 8.10 ჩვენი მატიანე. 8.25, 10.45 კრიმინალი. 8.40, 9.35 კარდანის ლილვი. 8.45 გრადუსნიკი. 8.55 ზღვარს მიღმა. 9.20 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები. 9.40, 11.45 მე- პირადი მცველი. 9.50 გაზეთების მიმოხილვა. 10.10, 11.25 ხარის საათი. 10.20 გამოსადეგი. 10.35 ფინანსები და ბიზნესი. 10.50 ცინცხალი გონებით. 11.35 რეტრო-ნოვოსტი. 11.50 კინოსიახლენი. 12.15 დილა. 12.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი". 13.30 საბავშვო პროგრამა. 14.20 ახალი წიგნები. 14.35, 18.20 ფული. 14.50 კომპიუტერი. 15.00 ღია სამყარო. 15.05 ნაბიჯი წრიდან. 15.25 ინგლისური ენის გაკვეთილი. 15.40 სურათების საიდუმლო. 17.00 ღია სამყარო. 18.20 დიდი ერემეჩკო. 18.35 დისტანცია-60. 19.35 „ცისფერი ხე". 20.30 საბავშვო პროგრამა. 21.40 დღის გმირი. 22.05 მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი მაიმუნი: „საშიში ექსპერიმენტი". 00.45 ტელესერიალი „ეკლოვანში მომღერალნი". 1.40 ერემეჩკო. 2.20 ღამის ერემეჩკო. 3.00 მხატვრული ფილმი „გასპარი და რობინზონი".

### პარასკევი, 28 მარტი

**1** 8.00 ალიონი. ანონსი. 18.00 მოამბე. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცეკვავს ანსამბლი „სიხარული". 50/50. 20.00 მოამბე. ვიდეოპატრული 02. ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი. ასპარეზი. პრეს-სტუდია. 22.00 ვესტნიკი. 22.20 ლატარია ყველასათვის. ტელე-სინე-ვიდეო. საქართველოს ჩემპიონატი კრივში. 23.50 ქვიშის საათი.

**2** 21.30 სარეკლამო ბლოკი და ინფორმაცია მეორე არხი. 22.00 ამერიკული მხატვრული ფილმი „საქათმე". დასასრულს – მუსიკა.

**ОРТ** 8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.55 ნოვოსტი. 11.15, 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 12.10 ჩემი ოჯახი. 12.50 სანამ ყველა შინაა. 13.30 დაუკარ, გარმონო! 14.15 მხატვრული ფილმი „მოღალატე". 15.40 ჯენტლმენ-შოუ. 16.15 დაკარგულის ძიებაში. 17.20 მულტსერიალი. 17.45 ფილმი-ზღაპარი „უკვდავი კაშჩეი". 18.50 როკ-გაკვეთილი. 19.30 მაგია: ზებუნებრივი სამყარო. 21.15 ადამიანი და კანონი. 21.45 პოლე ჩუდეს. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „სილამაზის მსხვერპლი". 1.10 ვზგლიადი. 2.10 მხატვრული ფილმი „მილიონი რა ფულია". 3.50 პრეს-ექსპრესი.

**РТР** 9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 სამედიცინო ცნობარი. 10.25, 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ.. 11.20, 12.55 პროდუქცია – ფოსტით. 11.30, 22.35 დ-კლუბი. 12.05, 23.10 „სანტა-ბარბარა". 13.15 ლე მონტი. 13.30 საქმიანი რუსეთი. 14.10, 21.40 რუსები. 14.25 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50 პალიხა, 14. 14.55 ავტოგრაფი. 15.00 ბოჰემა. 15.40 მინარეთი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის საძებნელად". 17.45 რეპორტაჟი არაფერზე. 18.00 ახალი იერუსალიმი. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 არენა სენსაციებისთვის. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ-ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 21.10 ორმაგი პორტრეტი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 ღამის ექსპრესი. 2.10 ბლოკ-ნოტი.

**НТВ** 8.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 21.00, 00.00, 2.00 სევოდნია. 8.10 ჩვენი მატიანე. 8.25, 10.45 კრიმინალი. 8.40, 9.35 კარდანის ლილვი. 8.45 გრადუსნიკი. 8.55 ზღვარს მიღმა. 9.20 შოუ-ბიზნესის ახალი ამბები. 9.40, 11.45 მე – პირადი მცველი. 9.50 გაზეთების მიმოხილვა. 10.10, 11.25 ხარის საათი. 10.20 გამოსადეგი. 10.35 ფინანსები და ბიზნესი. 10.50 ცინცხალი გონებით. 11.35 რეტრო-ნოვოსტი. 11.50 კინოსიახლენი. 12.15 დილა. 12.30 „ქალბატონი ექიმი ქუინი". 13.30 საბავშვო პროგრამა. 14.20 ახალი წიგნები. 14.35, 18.20 ფული. 14.50 კომპიუტერი. 15.00 ღია სამყარო. 15.05 ბონტონი. 15.25 კლასიკური მხატვრული კითხვა. 15.40 უკან მიიხედე, რუსეთო! 15.50 ასტროლოგის რჩევები მათთვის, ვინც გზაშია. 15.50 ასტროლოგის რჩევები მათთვის, ვინც გზაშია. 16.00 ღია სამყარო. 16.20 დიდი ერემეჩკო. 18.35 დისტანცია-60. 19.35 „ცისფერი ხე". 20.30 საფეხბურთო კლუბი. 21.40 დღის გმირი. 22.05 მხატვრული ფილმი „ფანფანის სიყვარულის არომატი". 23.40 ალო, ფირმა! 00.45 ტელესერიალი „ეკლოვანში მომღერალნი". 1.40 ერემეჩკო. 2.20 ღამის ერემეჩკო. 2.45 მხატვრული ფილმი „სიყვარული პირველი კლასის ვაგონში".

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

## ი

იაკოფიშვილი – 21 (თელავი – 14; კასპი – 2; რუსთავი – 5);

იაკუბიძე – 35 (ხელვაჩაური – 35);

იანტბერიძე – 22 (სიღნაღი – 11; გორი – 7; თბილისი – 2);

იანტკბერიძე – 31 (ქარელი – 31);

იანქოშვილი – 39 (თბილისი – 15; თელავი – 13; საგარეჯო – 2);

იარალიშვილი – 33 (თბილისი 23; მცხეთა – 7; თელავი – 1);

იასამნიძე – 29 (გორი – 28; თბილისი – 1);

იაქაშვილი – 24 (თბილისი – 24);

იახტნიშვილი – 35 (თბილისი – 7; გარდაბანი – 4; რუსთავი – 1);

იგრიაშვილი – 43 (თელავი – 25; კასპი – 5; თბილისი – 3);

ივანისელი – 47 (თბილისი – 46; მცხეთა – 1);

ითიურიძე – 44 (ახმეტა – 37; თბილისი – 3; თელავი – 4);

ითონიშვილი – 37 (თბილისი – 24; რუსთავი – 10; ბათუმი – 1);

ილიაძე – 41 (ქედა – 16; ბათუმი – 11; სამტრედია – 5);

იმდეიშვილი – 43 (სენაკი – 36; აბაშა – 3; ფოთი – 3);

იმედიძე – 42 (ახმეტა – 37; თბილისი – 4; თელავი – 1);

იმეშაშვილი – 37 (თბილისი – 6; კასპი – 31);

იმიშვილი – 24 (თბილისი – 24);

ინანიძე – 25 (რუსთავი – 5; ქუთაისი – 3; კასპი – 2);

ინარიძე – 44 (ოზურგეთი – 34; თბილისი – 8; ახალციხე – 1);

ინატაშვილი – 28 (თბილისი – 19; მარნეული – 2; ონი–7);

ინიაშვილი – 47 (დუშეთი – 24; თბილისი – 16; რუსთავი – 5);

ინჩქიტიძე – 49 (ჭიათურა – 17; ტყიბული – 11; თბილისი – 9);

ინჯიაშვილი – 26 (თბილისი – 26);

ინჯიბაშვილი – 21 (სენაკი – 7; ლანჩხუთი – 5; ფოთი – 9);

იობიშვილი – 47 (ოზურგეთი – 31; თბილისი – 4; ბათუმი – 3);

იოვაშვილი – 28 (თბილისი – 12; საჩხერე – 6; რუსთავი – 5);

იონათამიშვილი – 42 (თბილისი – 21; გორი – 12; მცხეთა – 1);

იორაშვილი – 48 (თბილისი – 22; ოზურგეთი – 9; ბათუმი – 8);

იოსებაძე – 25 (ბათუმი – 3; დუშეთი – 2; თბილისი – 20);

იოხმუსაშვილი – 23 (თბილისი – 10; გარდაბანი – 1; ოზურგეთი – 1);

ისაიაშვილი – 40 (ლაგოდეხი – 15; თბილისი – 13; მცხეთა – 4);

ისახაშვილი – 28 (ახმეტა – 26; ოზურგეთი – 2);

ისმეილაშვილი – 29 (გორი – 6; თბილისი – 3; თელავი – 3);

ისრაელაშვილი – 28 (ახალციხე – 4; თბილისი – 24);

იტრიაშვილი – 31 (ბათუმი – 1; თბილისი – 30);

იქაიძე – 27 (ახმეტა – 26; თელავი – 1);

იჩქიტიძე – 32 (თბილისი – 16; რუსთავი – 8; ქუთაისი – 4);

იჩუაიძე – 38 (ახმეტა – 17; თელავი – 14; თბილისი – 2).

# ფანტაზია... თეატრის თემაზე

ჩვენს თაობას კარგად უნდა ახსოვდეს მოზარდ მაყურებელთა თეატრი, სადაც კომკავშირული დაძალების მეთოდით დარიგებული აბონემენტებით დავდიოდით. თეატრთან ეს ზერელე ნაცნობობა ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა ჩვენთვის. არაცნობიერად ჯდებოდა ჩვენს გონებაში ის მყუდრო და თბილი, მშობლიური განწყობა, რომელიც თეატრს ომის, სიცივისა და შიმშილის პირობებშიც აძლებინებს. დაბოლოს, მაშინდელ მოზარდ მაყურებელთა თეატრს მშვენიერი ქართული დრამატურგია ედგა მხარში და ძალაუნებურად (თუკი ამას რაიმე ძალდატანება უნდა სჭირდებოდეს) ჩვენ ამ ფენომენსაც ვიახლოებდით. „ფირმა", „როკ-ნ-როლ" და დასავლეთის სხვა მეორადი ატრიბუტები ჩვენთვისაც დიდი ინტერესის საგანი იყო, მაგრამ გარკვეულ მიზეზთა გამო კონკურენცია შეუძლებელი იყო.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ყველაფერი ისევ ჩაიკეტოს და დასავლეთთან ურთიერთობა მხოლოდ აკრძალული რადიოარხების მეშვეობით ხდებოდეს, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ ეს ორივე ფენომენი თანაბარ პირობებში კონკურირებდეს. კონკურენციის უნარი ჩვენს კულტურას ხომ საკმარისზე მეტი აქვს, ეს ისედაც ჩანს, რომ ამ უფულობისა და უსაშველობის პერიოდში ჯერ კიდევ არსებობს, რასაც დასავლური გასართობი ბიზნესი ალბათ ვერ მოახერხებდა.

რაც შეეხება თანაბარი კონკურენციის პირობებს, ეს ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი სტრუქტურების ხელშეწყობით უნდა განხორციელდეს. თორემ ასეთი პოზიცია – „ჩვენ ვხედავთ და განვიცდით, რომ კულტურა გვეღუპება, რომელსაც ალბათ ვეღარც აღვადგენთ. მაგრამ რა ვქნათ, თავს ზემოთ ძალა არა გვაქვს", – გამოუსწორებელ შედეგებს მოიტანს. არადა ჩანს, რომ ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება და არ კეთდება

მანამდე კი, სანამ ამ საკითხს სერიოზულად არ შეხედავენ, მოზარდი თაობის გონება უფრო და უფრო გადაიტვირთება „რემბოს", „შვარცენეგერის", „კუ-ნინძების" დაუვიწყარი სახეებით, თუ „სექსით" ტახტზე, იატაკზე და, ალბათ, იატაკქვეშეთშიც. ამის შემდეგ შეიძლება მავანს ენა მოუბრუნდეს იმის სათქმელად: რატომ უყრიან ჩვენი ბიჭები ერთმანეთს დანას, და რატომ არის, რომ ყველანაირ მანქანებში უსხდებიან უცხო მამაკაცებს ჩვენი გოგონები? რატომ?...

მაგრამ არ ღირს სალებავების კიდევ უფრო გამუქება, მით უფრო, რომ სასიამოვნო ამბის მოთხრობა არის ამ წერილის მიზანი.



21 მარტს გაიმართა რუსთავის სახელმწიფო საბავშვო თეატრის წარმოდგენა: „ფანტაზია მგლისა და კრავის თემაზე" (რეჟ.ვახტანგ ალავიძე). დარბაზში მყოფის პირველი შთაბეჭდილება საფეხბურთო სტადიონის სტუმრის განცდებს შეიძლება შევადაროთ. იმდენად ახლო კონტაქტია მსახიობებსა და მაყურებელს შორის, რომ მოზარდები მთელი გულითა და სულით გულშემატკივრობენ საყვარელ მოქმედ პირებს.

სპექტაკლის რეჟისურაც ითვალისწინებს მაყურებელთან კონტაქტს და მოქმედება დაახლოებით თოჯინების თეატრის მსგავსად ვითარდება. პატარა მაყურებელი თავდავიწყებით ერთვება სპექტაკლში. ასეთ განწყობას თვით წარმოდგენის თემაც უწყობს ხელს, რომელიც ტრადიციული კეთილისა და ბოროტის ბრძოლის საკითხზეა აგებული. ფაქტიურად ეს არის თანამედროვე ზღაპარი, რომელიც გარკვეული ფილოსოფიური ტენდენციით არის გამდიდრებული. როდესაც ასეთი წარმოდგენიდან გამოდიხარ, გულის სიღრმეში კეთილის გამარჯვების რწმენა მტკიცდება. დღევანდელობის მკაცრ მარწუხებში მოქცეული ადამიანისათვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი დადებითი ემოციაა, რომელიც ასვენებს, ათავისუფლებს და აფიქრებს მას (ნუ გაგიკვირდებათ, რომ ხშირად ფიქრის დრო არ გვრჩება. ჩვენი გონება ხომ უმეტესად პრაქტიკული საკითხებით არის დაკავებული).

საოცარია მსახიობების თამაშის სტილი. მათ მიერ შექმნილი ახლობელი სახეები ყოველთვის ვიღაც ნაცნობს გვაგონებს, იმდენად ბუნებრივია ის პერსონაჟები, რომლებიც სცენაზე კი არა, თითქოს დარბაზში თამაშობენ. ეს „თამაში" არის ხაზგასმული, რამდენადაც თეატრი თამაშია და არა ისეთი შესვლა როლში, როდესაც ოტელო დეზდემონას ნამდვილად აღრჩობს.

და მაინც გვერდს ვერ ავუვლით მწვალებლურ კითხვას – რითი არსებობს ეს თეატრი? პასუხი, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ბანალურია (ჩვენს რეალობაში, თორემ დასავლეთში ღიმილიც კი ფული ღირს); მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმით. სხვანაირად ძნელი გასაგები იქნება, თუ რატომ არ იგრძნობა მსახიობების: გ.ალავიძის (მგელი), ჯულიეტა ოშხერელის (კეთილი ფერია), პატარა სალომე ხარბედიას (კრავი) თამაშში იმ მრავალრიცხოვანი პრობლემების კვალი, რომლებიც ასე მრავლად გასჩენია თეატრსა და მსახიობთა ოჯახებს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, გასაგებია მსახიობის, მხატვარის, მეცნიერის ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი (ალბათ, ამის იმედი აქვს ქვეყნის ხელმძღვანელობას), თორემ სხვაგან ამას შეურაცხყოფადაც მიიღებდნენ, თუ ჭკუასუსტობად არა.

დასასრულ მოგახსენებთ, რომ თეატრს რეპერტუარში აქვს არანაკლებ საინტერესო სპექტაკლები: „ფიფქია და შვიდი ჯუჯა", „ნაცარქექია", „სათაგური" და სხვა. და გირჩევთ, ნუ დააბრმავებთ თქვენს ბავშვებს სამ-ოთხ საათიანი „მარიოსა" თუ „რობოტ-პოლიციელის" კომპიუტერული თამაშებით. წაიყვანეთ თეატრში. თუ არ მოეწონება, თვალი მაინც დაუსვენებს თეატრის თბილი ფერების ხილვით.

**P.S.** წერილში შეგნებულად არაფერი ითქვა უშუქობის, სიცივესთან თუ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე. იმ გაგებით, რომ ისედაც ბევრისმნახველ ხელმძღვანელებს ამით ვერ გააკვირვებ.

კობა კიკნაძე

# დადავვორდი



ჰორიზონტალურად: 1. „აფთარის" ჯანმრთელი მეცნიერება (რუს.კავშ.); 4. „დენდარტყმული" მეტროს სადგური; 10. „ხარის" საჭმელი „მოცვი" (7); 11. ნამდვილად რომ „ეგ არის", ისეთი ჯადოსნობა; 12. „დაგაზული" აირი; 13. ელექტროდენის საზომი ერთეული, რომელიც „ვატირე"; 14. პოლონეთის „ლოთი" ფულის ერთეული, რომელიც „შენ" უნდა მოიხმარო (რუს.ნაწ.კავშ.); 15. „თეთრი" ქალის სახელი (რუს.კავშ.); 16. „რატის" საყვარელი სპორტი; 17. „აწეულ ყურიანი" სოფელი; 19. „ლომების" საბუთი, ურომლისოდაც არცერთი სიძე არ ვარგა; 21. მანძილი ორ „რაფას" შორის; 24. „ფილიპეს" გახსნილი ფირმა; 27. „დრუბლების" საკოცნი (რუს.კავშ.); 28. „გირების" ჩამოსაკიდებელი თოკი; 30. „ტორიანი" ძრავა; 31. საჩხერის „ოქროს ზოდებიანი" სოფელი; 32. „ტატას" ტექსტის სიტყვა-სიტყვით მოყვანილი ადგილი; 33. კატის „ზაფხულში" საჭმელი (რუს.კავშ.) (7); 34. ის, რაც ძალზედ ახასიათებთ „ინტელექტუალებს", გადაცემიდან „რა, სად, როდის"; 35. უპირატესობის მიმცემი „ოთხიანი" (ინგ.კავშ.).

ვერტიკალურად: 1. „გენებით" გადასული ქიმიური მარილი; 2. მაჰმადიანთა „მამა" წინამძღოლი; 3. „ცხერის" სასუსნავი, რომელიც „ჩვენ" გვეკუთვნის (რუს.კავშ.); 5. „ლიცეუმში" გაცემული ცნობა; 6. „ასას" მაძახებელი ადამიანთა ჯგუფი; 7. „ეს ტაფაზე" შემწვარი გუნდური შეჯიბრება; 8. უმაღლესი „ლიგის" ფასიანი ქაღალდი, რომელსაც „გააცია"; 9. ხორცის კონსერვი, ისეთი „როგორც ესენია" გაკეთებული (რუს.კავშ.); 11. „ტრუკების" მაჩვენებელი მოზრდილი ვირი; 18. „ქუჩაში" ჩასარტყმელი იარაღი; 20. „ინეზას" გამჭვირვალე ოპტიკური მინა; 21. „გზაზე დაკეცილი" ასფალტი; 22. გაზეთ „ალიაზე" მოკიდებული ცეცხლი; 23. „ძიებაში" მყოფი „ძალ-ღონე"; 24. „უენო" თმის საშრობი; 25. „ბუების" ძელზე ჩამოსაჯდომი ტახტი (რუს.კავშ.); 26. „მოსაკიდებელი" კარატის სახეობა; 28. „ბიზანტიაში ნისიად" ჩამოყალიბებული ვაჭრობა; 29. „ასი" ცალი ტატიას მეცნიერული ნაწარმოები (რუს.კავშ.).

კობა ბაიდოშვილი

## ნინა ნომერში გამოქვეყნებული „პოლიტიკური ჯვარედინის" პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. ანაკლია; 6. კამბოჯა; 10. ირინა; 12. დონი; 13. ზღვა; 14. მწვანე; 16. არბატი; 20. რიონი; 21. დილარიანი; 23. ჯვარი; 26. ამაო; 29. მელა; 31. სამუშაო; 33. ბასილა; 34. ელისტა; 35. გურამიშვილი; 36. ზურაბა; 38. დოლარი; 40. მტკვარი; 42. დალი; 43. ანჩი; 47. თეთრი; 48. პატრიარქი; 51. ატენი; 55. გულაგი; 56. გიორგი; 58. სული; 59. ქუჯი; 60. ადათი; 61. დარბაზი; 62. ალილუია.

ვერტიკალურად: 2. ნინო; 3. ლერწი; 4. არსენა; 5. ონიანი; 7. მარტი; 8. ჯილა; 9. ედუარდი; 11. ვარდიკო; 15. ალია; 17. ბანა; 18. ანბანი; 19. ზვიადი; 22. რჩეულიშვილი; 24. ხარაგაული; 25. ფერეიდანი; 27. ბალასტი; 28. ნალეერი; 30. ჭაბუა; 32. მტერი; 37. ანდორა; 39. ლაისტი; 41. ქუთაისი; 44. კვირაია; 45. ჯაბა; 46. ოქრო; 49; რაინდი; 50. ალგეთი; 52. გულია; 53. მგელი; 54. ოლღა; 57. რუხი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444